პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 31 ივლისი, 1948 წ. № 151 (8195). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

უფრო სწრაფად ვაშენოთ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
დავაჩქაროთ მოსავლის აღება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება (1-ლი გვერდი).
რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღისათვის (1-ლი გვერდი).
ს. ლარცულიანი — ი. ბ. სტალინის ბრძოლა პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის (მე-2 გვერდი).
ვ. კიკვაძე — აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები სავაჭრო კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეში (მე-3 გვერდი).
ახალი ხუთწლედის მშენებლობებზე (მე-3 გვერდი).
თბილისის სამხატვრო სასწავლებლის პირველი გამოშვება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

უფრო სწრაფად ვაშენოთ სასოფლო ჰიდროელექტროსადგურები

საქართველოს რელიეფი და მთის პატარა მდინარეების სიმრავლე უდიდეს პერსპექტივებს სახავენ ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაციისათვის. ამიტომ ითვალისწინებს ახალი ხუთწლიანი გეგმა საქართველოში 21,5 ათასი კილოვატი სიმძლავრის მცირეძალოვანი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, ხოლო პერსპექტიული გეგმა —1960 წლისათვის სოფლის მთლიან ელექტროფიკაციას.

მცირეძალოვანი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ჩვენში ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე დაიწყო. ომამდელ სტალინურ ხუთწლედებში ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლებში მრავალი მცირეძალოვანი ჰიდროელექტროსადგური აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა. მრავალმა ათეულმა კოლმეურნეობამ, ათობით მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა მიიღო დენი ახლად აგებული ელექტროსადგურებიდან, ელექტრონი მტკიცედ დამკვიდრდა საკოლმეურნეო სოფლის ყოფა-ცხოვრებაში, ათასობით კოლმეურნის ოჯახი გაანათა „ილიჩის ელექტრონათურამ“, ელექტროენერგიით იწყეს მუშაობა კოლმეურნეობათა საწარმოებმა, მანქანა-ტრაქტორთა სარემონტო სახელოსნოებმა. 1941 წლის დასაწყისისათვის ჩვენს რესპუბლიკას სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრის მხრივ მეორე ადგილი ეკავა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ჩვენში არც დიდი სამამულო ომის წლებში შეწყვეტილა. ამ წლებში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ალაზნის, ჩოხატაურის, თეთრი წყაროს და მთელი რიგი სხვა სასოფლო ჰიდროელექტროსადგურები. ყოველივე ამის შედეგად, თუ 1941 წლისათვის ელექტროფიცირებული იყო 116 კოლმეურნეობა, ახალი ხუთწლედის დასაწყისისათვის ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვმა 238-ს მიაღწია, ხოლო მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ეს რიცხვი 368-ს უდრიდა.

მიუხედავად ამისა, სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტემპი ახალი ხუთწლედის პირველ ნახევარში საგრძნობლად ჩამორჩებოდა ხუთწლედით დასახულ პროგრამას. 21,5 ათასი კილოვატიდან, განვლილი ორი წლის განმავლობაში, საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 2 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის ელექტროფიკაციის ტემპის გაძლიერებისა და ამ დარგში ხუთწლედით დასახული პროგრამის აუცილებლად განხორციელების მიზნით, მიმდინარე წლის 3 ივნისის დადგენილებით დასახეს სასოფლო ჰიდროელსადგურების მშენებლობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გასულ წელთან შედარებით წელს ერთიორად დიდდება ელექტროსადგურების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მიმდინარე წელს უნდა აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 4 ათას კილოვატზე მეტი სიმძლავრის 51 მცირეძალოვანი ჰიდროელექტროსადგური.

იმ რაიონებში, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობათა გამგეობები მთელი სერიოზულობით ეკიდებიან სოფლის ელექტროფიკაციის საქმეს, მოსახლეობას შეგნებული აქვს ის უდიდესი სარგებლობა, რაც ელექტროფიკაციას მოაქვს საკოლმეურნეო სოფლისათვის და წარმატებაც უზრუნველყოფილია. ასეთი რაიონების რიცხვს ეკუთვნიან ამბროლაურის, კაჭრეთის, ბოგდანოვკის, ქუთაისის, ბოლნისის, ქლუხორის, გორისა და მთელი რიგი სხვა რაიონები, სადაც მოკლე ხნის განმავლობაში ააგეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ათობით მცირეძალოვანი ჰიდროელსადგური.

მაგრამ ამ მოწინავე რაიონებთან ერთად არიან ისეთებიც, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად მცირეძალოვანი ჰიდროელსადგურების მშენებლობა წლობით ჭიანურდება. მაგალითად, სამი წელი გრძელდება საგარეჯოს რაიონის პატარძეულის ჰიდროელსადგურის მშენებლობა. იგივე შეიძლება ითქვას სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის, სოხუმის რაიონის სოფელ შრომისა და სხვა სასოფლო ჰიდროელსადგურების მშენებლობის შესახებ.

ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობათა გამგეობები დროულად არ აფინანსებენ მშენებლობას, ანდა აჭიანურებენ ტრესტ საქსოფლელექტროსათვის თანხების გადარიცხვას. ამის შედეგია ის, რომ ტრესტის დებიტორული დავალიანება 1.800 ათას მანეთს უდრის.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სასოფლო ჰიდროელსადგურის მშენებლობისათვის საშეფო ორგანიზაციების არასაკმაო დახმარება და ფორმალური მიდგომა თავიანთი მოვალეობისადმი. მაგალითად ბულაჩაურმშენს, საქართველოს ქვანახშირის კომბინატს, საქშახტმშენის სამმართველოს, სოხუმჰესის მშენებლობის სამმართველოს და მთელ რიგ სხვა მსხვილ ობიექტებს შეფობა აქვთ აღებული სასოფლო ჰიდროელსადგურების მშენებლობებზე, მაგრამ ისინი ფაქტიურად თითქმის არაფერს აკეთებენ მშენებლობის დასაჩქარებლად.

ფრიად სერიოზული საკითხია აგრეთვე უკვე აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული სასოფლო ჰიდროელსადგურების სრული დატვირთვით გამოყენება. ამ მიმართულებით ჩვენ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. მაგალითად, ალაზნის ჰიდროელსადგურის სიმძლავრე გამოყენებულია მხოლოდ 25 პროცენტით, ჩოხატაურისა—33,7 პროცენტით, რიცეულისა—40,5 პროცენტით და ა. შ. ამ და მრავალი სხვა მოქმედი სადგურების სრული დატვირთვით გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემდა დამატებით მოგვეხდინა მრავალი ათეული კოლმეურნეობის ელექტროფიკაცია. ამისათვის აუცილებელია ქვესადგურებისა და გადამცემი ხაზების მშენებლობის დაჩქარება.

აქედანვე უნდა მივიღოთ ზომები აგრეთვე სასოფლო ჰიდროელსადგურების ნორმალური ექსპლოატაციისათვის საჭირო კადრების მოსამზადებლად. თვითეული სადგური უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიციური კადრებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ სასოფლო ჰიდროელსადგურების ნორმალურ ექსპლოატაციას, მის ეფექტიანად გამოყენებას.

სოფლის ელექტროფიკაციის საკითხებზე ამ დღეებში მოწვეულმა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელსაც სოფლის ელექტროფიკაციაზე მომუშავე ხელმძღვანელ მუშაკთა გარდა, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ესწრებოდნენ, გამოავლინა სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში დღემდე არსებული მრავალი ნაკლოვანება და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

სამეურნეო წლის დასასრულამდე ხუთი თვე დარჩა. საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის ტრესტმა, რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა მთელი ენერგიით უნდა გააჩაღონ ბრძოლა საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაციის მიმდინარე წლის დავალებათა აუცილებლად შესრულებისათვის. უფრო სწრაფად ვაშენოთ და სრული სიმძლავრით გამოვიყენოთ სასოფლო ჰიდროელსადგურები!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსი დიმიტრის-ძე **კრუტიკოვი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლნი ქ. მირგოროდს გაემგზავრნენ

29 ივლისს უკრაინის სსრ ქ. მირგოროდში, სადაც დიდხანს ცხოვრობდა და 1792 წელს დასაფლავებულ იქნა ქართული პოეზიის კლასიკოსი დავით გურამიშვილი, გაემგზავრნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლნი შ. დადიანი, ლ. ასათიანი და პროფ. ა. ბარამიძე. ისინი გაეცნობიან ისტორიულ ადგილებს, სადაც ცხოვრობდა დავით გურამიშვილი. (საქინფორმი).

დავაჩქაროთ მოსავლის აღება, ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება



მცხეთის მტს-ის პირველი ბრიგადის № 6 კომბაინის კომბაინერი ალექსი სოხაშვილი, რომელიც წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფართობზე ნაცვლად 8 ჰექტარისა ყოველდღიურად 16 ჰექტარამდე პურის ახალ მოსავალს იღებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

პურის მკა ზნაურის რაიონში

ზნაურის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე გაცხარებული მუშაობაა. მოწინავე კოლმეურნეობები ორგანიზებულად შეუდგნენ მოსავლის აღებას. მაგრამ მოსავლის აღებისა და გალეწვის ტემპი რაიონში მაინც არადამაკმაყოფილებელია. ცალკეული კოლმეურნეობები მეტად აჭიანურებენ ლეწვის დაწყებას. მაგალითად, სოფელ წნელისის კოლმეურნეობაში მკის გეგმა 70 პროცენტით არის შესრულებული და ლეწვა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. ასევე ჩამორჩნენ ლეწვაში სოფელ გომზაანის, დიდმუხის, თერგვანის, შუაქვათეთრის, ძველეთის კოლმეურნეობები.

თერგვანის კოლმეურნეობაში პურის სავალდებულო ჩაბარებისთვისაც არ იბრძვიან სათანადოდ. ამ კოლმეურნეობის გამგეობამ კოლმეურნეებს მისცა ახალი მოსავლის პური, მაშინ როცა სავალდებულო ჩაბარების გეგმა ჯერაც არა აქვს შესრულებული. ასევე მოიქცნენ არკნეთისა და მუგუთის კოლმეურნეობათა გამგეობები. ზოგიერთ კოლმეურნეობას დამამზადებელ პუნქტებში მოაქვს გაუწმენდავი ხორბალი. მაგალითად, სოფელ ოქონის კოლმეურნეობამ „ზავოტზერნოს“ სტალინირის მიმღებ პუნქტში მოიტანა 1.200 კილოგრამი დანაგვიანებული მარცვლეული, რომელიც სამართლიანად იქნა დაწუნებული.

ზნაურის რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ლეწვის ტემპის დაჩქარებისა და პურის დამზადების გეგმების შესრულებაში.

ვლ. გელაშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს

დღითიდღე ძლიერდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეები პირველ განალეწ საუკეთესო ხარისხის მარცვლეულს აბარებენ სახელმწიფოს. პურის ჩაბარებაში წინ მიდიან თელავის რაიონის სოფელ გულგულის სტალინის, კურდღელაურის ჩარკვიანის, ფშაველის მე-18 პარტყრილობის, კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობები და რუისპირის კოლმეურნეობა „საბჭოთა გმირები“, ყვარლის რაიონის სტალინის, შილდის კუიბიშევის, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები, ყვარლის კოლმეურნეობა „ახალი წყარო“, გავაზის კოლმეურნეობა „განთიადი“, ახმეტის რაიონის სოფელ ახმეტის კოლმეურნეობა „პირველი მაისი“, ზემო ალვანის ბერიას, ქვემო ალვანის ლენინის, ხორხელის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობები.

არიან ჩამორჩენილნიც. ეს პირველ რიგში ითქმის თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობა „შრომის კავშირის“, წინანდლის მე-17 პარტყრილობის სახელობის, სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“, შალაურის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, ყვარლის რაიონის სოფელ გრემის მ. გორკის, საბუის კიროვის, შილდის კიროვის სახელობის კოლმეურნეობების, ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორის“, ახმეტის რაიონის სოფელ კოღოთოს ჩარკვიანის, ქისტაურის ვოროშილოვის, ზემო ალვანის შინსახკომის, ახაშნის კალინინის და ფიჩხოვანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობათა შესახებ.

არის შემთხვევა, როცა მიმღებ პუნქტს იმაზე ნაკლებს აბარებენ, რაც კოლმეურნეობის საწყობიდან ჩასაბარებლად გაიტანეს. თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის საწყობიდან 937 კილოგრამი მარცვალი გაგზავნეს სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად, მაგრამ ადგილზე მიტანისას პირველ დღეს 27 კილოგრამი დააკლდათ, ხოლო მეორე დღეს 17 კილოგრამი. ეს გამონაკლისი არ არის.

სასწრაფოდ გამოვასწოროთ პურის ჩაბარებაში შემჩნეული ნაკლოვანებანი, საუკეთესო ხარისხის პური ჩავაბაროთ სახელმწიფოს.

ნ. იარალოვი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ასურეთის მტს-მა შეასრულა მოსავლის აღების გეგმა

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წელს ასურეთის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი ს. ლაშხი, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ა. მასხარაშვილი) მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა მოსავლის აღების საქმეში. 27 ივლისისათვის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულ იქნა საგრძნობი გადაჭარბებით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.880 ჰექტარისა, მოსავალი აღებულია 3.020 ჰექტარზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი ა. ჩომახაშვილი. სოფელ პატარა დურნუკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მის მიერ აღებული ნაკვეთის 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ხორბალი. სოფელ ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავე კომბაინერ ა. ავეტისოვის მიერ აღებული ნაკვეთის 60 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 15 ცენტნერი, ხოლო დოლის პური 43 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 16 ცენტნერი ხორბალი.

მოსავლის აღებაში დაწინაურდა აგრეთვე ა. მიკირტუმაშვილის ბრიგადა, რომელმაც მოსავალი აიღო 380 ჰექტარზე, გეგმა კი 278 ჰექტარს ითვალისწინებდა. საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მოსავლის აღების გეგმა აგრეთვე ბრიგადირებმა ა. დალაქიშვილმა და შ. ავგაროზაშვილმა.

მტს-ის კოლექტივმა იკისრა დამატებით კიდევ 200 ჰექტარზე აიღოს პურეულის მოსავალი.

თეკლათელ კოლმეურნეთა წარმატებანი

მდინარე ცივის მარცხენა ნაპირას გადაშლილია სოფელ თეკლათის (ცხაკაიას რაიონი) კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ყანები. ყველგან კარგი სიმინდია, მაგრამ საუკეთესოა მეხუთე ბრიგადის ნათესები. ამ ბრიგადას ხელმძღვანელობს ლენინის ორდენოსანი რ. გარუჩავა. მან დიდი გულმოდგინებით დაამუშავა მიჩენილი 44 ჰექტარი ნათესი. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ამ ბრიგადის მესამე რგოლმა (ხელმძღვანელი ი. გარუჩავა) ვადამდე დაამთავრა მეორე თოხნა მიჩენილ 13 ჰექტარზე. რგოლის წევრები სწმენდენ წყალსაწრეტ კვლებს, თვალყურს ადევნებენ მცენარის განვითარებას. ასევე კარგად არის მოვლილი მეორე რგოლის ნათესებიც. მეტრნახევრის სიმაღლეს მიაღწია ახალგაზრდა კოლმეურნე ქალის ო. გარუჩავას სიმინდის ყანამ, რომელიც 1,8 ჰექტარს შეადგენს.

მესამე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ვ. ლაშქარავა) ნათესებში 100 ტონაზე მეტი ნაკელი და შლამი შეიტანა. მეორე თოხნაც ვადამდე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა. კომკავშირელი მერგოლეური იპ. ლაშქარავა მეორე თოხნის დავალებებს 210 პროცენტით ასრულებდა. კარგი მაჩვენებლები აქვს მებოსტნე კოლმეურნეს კიწი ლაშქარავას. შარშან მან 124.600 მანეთი შემოსავალი მისცა კოლმეურნეობას.

ბოსტანი საუკეთესოდ არის დამუშავებული. ნათესი ექვსჯერ არის გათოხნილი, წყალსაწრეტი კვლებით დასერილი. უკვე რეალიზებულია 5.000 მანეთის პირველი მოსავლის ნესვი, კიტრი, პამიდორი და ბადრიჯანი.

გ. მილიუტინი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავი ლიუდი ხურციძე, რომელიც დღეში 150-250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ელდარის საბჭოთა მეურნეობაში

ელდარის (წითელწყაროს რაიონი) საბჭოთა მეურნეობას 2.000 ჰექტარი ხორბალი და ქერი ეთესა. აქედან 1.000 ჰექტარი საშემოდგომო ნათესებს ეკავა. ახლახან დამთავრდა საშემოდგომო ნათესების მკა და ლეწვა. წლევანდელმა მოსავალმა ბევრად გადააჭარბა შარშანდელს. ჰექტარზე მიღებულია 15 ცენტნერი ხორბალი, გეგმა კი 13 ცენტნერს ითვალისწინებდა.

აგროწესების სწორად გატარებით მემინდვრეობის ორსავე ბრიგადაში ბევრია უხვმოსავლიანი ჰექტარები. ბრიგადამ, რომელსაც გიორგი ბარნაბიშვილი ხელმძღვანელობს, მერგოლეურების მაშო ქუმსიაშვილისა და ზოია საპუნოვას ნაყოფიერი შრომით 100 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი ხორბალი მიიღო, ხოლო 100 ჰექტარი ქერის ნათესიდან ჰექტარზე — 22 ცენტნერი. დიდ წარმატებას მიაღწია აგრეთვე ბრიგადირმა გაბრიელ ზურაბაშვილმა.

საშემოდგომო ნათესების მოსავლის მკა მეურნეობამ 20 სამუშაო დღეში დაამთავრა, რაც კომბაინერების ვლადიმერ ალექსანდროვის, მიხეილ ჩერნომოროვის, პავლე გულკას, ივანე კობეცის, ან. შკურინსკის და კონსტანტინე სადოვოის ენერგიული შრომის შედეგია. თვითეული მათგანი დღეში 15-19 ჰექტარ ყანას მკიდა.

ნავარაუდევი იყო, რომ ელდარის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. დ. ვაჩაძე) წელს სახელმწიფოს 40.000 ფუთ პურს მისცემდა. 22 ივლისისათვის უკვე ჩაბარებული იყო 50.000 ფუთი. მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება. გადაწყვეტილი აქვთ კიდევ ჩააბარონ 25.000 ფუთი პური.

გ. ყაჯრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღისათვის

ყოველდღიურად შევასრულოთ ქვანახშირის გაზიდვის გეგმა

ტყიბულელი რკინიგზელები საგრძნობი მიღწევებით ხვდებიან რკინიგზელის საკავშირო დღეს. სადგურის კოლექტივს (უფროსი გ. მელია), 107 პროცენტით აქვს შესრულებული ქვანახშირის გაზიდვის ნახევარი წლის გეგმა. უკანასკნელ დღეებში წარმატებით სრულდება გადმოტვირთვის დავალებანიც. დიდ წარმატებას აღწევენ მატარებლის შემდგენლები გ. ცირეკიძე და ი. ბესარაბოვი, მეისრეები ა. ბუბაშვილი, მ. ქათამაძე, ს. ზაიცევი და სხვები. ზეინკლები ვ. ქათამაძე და ვ. შარვაძე გაორკეცებით ასრულებენ ნორმებს.

წარმატებასთან ერთად სადგურს ნაკლიც აქვს მუშაობაში. უკანასკნელ დღეებში არ სრულდება ქვანახშირის გაზიდვის გეგმა. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ვაგონების მოცდენა. სადგურის კოლექტივმა უმოკლეს დროში უნდა აღკვეთოს ეს ხელშემშლელი მიზეზები და მოწინავეთა რიგებში ჩადგეს.

ს. მერკვილაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისის სატვირთო სადგურის მუშაკთა მნიშვნელოვანი ინიციატივა

დიდ სატვირთო სადგურებზე მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევის დაჩქარებაში გადამწყვეტ რგოლებს წარმოადგენენ მატარებელთა შემდგენლები, მეისრეები, ორთქლმავალთა და სხვა გამწევ საშუალებათა მემანქანეები, ვაგონთა გადამბმელები, დისპეტჩერები და შემმოწმებლები.

ამას წინათ თბილისის სატვირთო სადგურზე რკინიგზელის სტალინური დღის მოახლოვებასთან დაკავშირებით მოიწვიეს ადგილობრივ მუშაკთა თათბირი, რომელზეც განიხილეს ვაგონთა მიმოქცევის დაჩქარების საკითხი. საჭიროდ იქნა აღიარებული, რომ სადგურზე ჩამოაყალიბონ ერთიანი კომპლექსური ცვლები, რაც ხელს შეუწყობს ცვლების მონაწილეთა დაინტერესებას უკეთესი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში და ამავე დროს გააადვილებს ცვლათა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას.

თათბირზე დამუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებას სატვირთო სადგურის კოლექტივი მეორე დღიდანვე შეუდგა. ერთიანი კომპლექსური ცვლების ჩამოყალიბების შემდეგ სატვირთო სადგურის კოლექტივმა გადაჭრით გააუმჯობესა მუშაობა. სადგურის მორიგე ნ. ხაჩატურიანის და დისპეტჩერ ვ. ვერულავას ცვლა უკვე რამდენიმე დღეა სატრანზიტო ვაგონთა გაცდენას სისტემატურად ამცირებს და ამ ვაგონებს დანიშნულებისამებრ გზავნის ვადამდე 1 საათით ადრე.

თბილისის სატვირთო სადგურის მუშაკთა ეს გამოცდილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გავრცელებული პირველ რიგში დიდ საკვანძო სადგურთა კოლექტივებში.

მძიმე წონის მატარებელი ტყიბულიდან

ტყიბულის რკინიგზის ხაზზე მძიმე წონის მატარებლის გატარების პირველი ცდა 25 ივლისს მოახდინა ქუთაისის საელექტრომავლო დეპოს მემანქანემ ამხ. რიჟამაძემ. მან ამ დღეს ტყიბულიდან წამოიყვანა ქვანახშირით დატვირთული გადიდებული შემადგენლობის მატარებელი და დანიშნულების სადგურზე 20 წუთით ადრე მიიყვანა.

მარტო ამ ერთი რეისით ამხ. რიჟამაძემ ნორმის გადამეტებით გადმოზიდა 90 ტონა ქვანახშირი. ეს მიღწევა მან რკინიგზელის სტალინურ დღეს მიუძღვნა.

სტახანოველი რკინიგზელები კასპიდან

რკინიგზის კასპის სადგურის კოლექტივმა ვაგონების დატვირთვის თვიური გეგმა 28 ივლისისათვის შეასრულა.

რკინიგზელთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა სადგურის მორიგემ ი. ილურიძემ. მან ივლისში გეგმა 150 პროცენტით შეასრულა. გზის ოსტატმა ნ. ფირცხალაიშვილმა მოკლე დროში შეაკეთა 15 კილომეტრი ლიანდაგი. რკინიგზის შესაკეთებლად კარგად იმუშავეს სალიანდაგო დარგის ბრიგადირებმა გ. ფოცხვერაშვილმა და ნ. გოგოლაძემ. შპალების გამომცვლელმა ვ. აფხაზიშვილმა ივლისში გეგმა 150 პროცენტით გაანაღდა.

რკინიგზელთა დღისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დადგა მტვირთავი ნ. რუსიშვილი, რომელმაც 25 ივლისს 25 ტონა ტვირთი გადმოტვირთა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ტონისა. შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გაანაღდა აგრეთვე მეისრე ნ. გოგიჩაშვილმა. მან სანიმუშო წესრიგში მოიყვანა საისრე მეურნეობა და ერთი ახალგაზრდა მეისრე მოამზადა.

ვ. ბუზალაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ი. ბ. სტალინის ბრძოლა პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის

(ი. ბ. სტალინის თხზულებათა II ტომის ქართულად გამოსვლის გამო)

ი. ბ. სტალინის თხზულებათა II ტომი შეიცავს იმ ნაწარმოებთ, რომლებიც დიდი სტალინის მიერ შექმნილია 1907 წლის თებერვლიდან 1913 წლის თებერვლამდე. ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა ამ პერიოდში მიმდინარეობდა ჯერ თბილისში (1907 წლის პირველი ნახევარი), შემდეგ ბაქოში (1907 წლის მეორე ნახევარი — 1911 წლის პირველი ნახევარი) და ბოლოს პეტერბურგში (1911 წლის მეორე ნახევარი — 1913 წლის პირველი ნახევარი).

ეს იყო პერიოდი, როდესაც რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხებას მოჰყვა სტოლიპინის შავი რეაქციის მძიმე წლები, ხოლო შემდეგ კვლავ დაიწყო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. რეაქციის სიმკაცრემ რევოლუციის წვრილ-ბურჟუაზიულ თანამგზავრთა შორის რღვევა, გახრწნა, რეაქციის ბანაკში გადაბარგება გამოიწვია. დაცემულობამ და უიმედობამ თავი იჩინა პარტიული ინტელიგენციის ნაწილში და განსაკუთრებით მენშევიკების რიგებში. მომავალი რევოლუციისადმი რწმენის უქონლობამ მენშევიკები პარტიის ლიკვიდაციის გზაზე დააყენა. ისინი ხელს იღებდნენ პარტიის პროგრამაზე, მუშათა კლასის რევოლუციურ ამოცანებზე, არალეგალურ მუშაობაზე და სტოლიპინის რეაქციულ რეჟიმს ეგუებოდნენ.

პარტიას იდეური და ორგანიზაციული განადგურების უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა ერთი მხრივ სტოლიპინის რეაქციისაგან და მეორე მხრივ მენშევიკ-ლიკვიდატორებისაგან. ამ საფრთხის თავიდან აცილების, პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცების, მუშებისა და გლეხების ახალი რევოლუციური მოძრაობის გაჩაღების მომზადების გადაუდებელი ამოცანებისათვის თავდადებულ, დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდნენ ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადები — ლენინი და სტალინი. ცარიზმისაგან დევნილი ლენინი იძულებული იყო რევოლუციური მოღვაწეობა ეწარმოებია თავის ქვეყნიდან გადახვეწილს, ემიგრანტის მდგომარეობაში. ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი, მიუხედავად მრავალი დაპატიმრება-გადასახლებისა (1908-1913 წლებში ხუთჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთის შორეულ მხარეებში, საიდანაც ოთხჯერ გამოიქცა), უაღრესად აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა. ემიგრაციამ, პატიმრობამ, გადასახლებამ ვერ გასტეხა დიდი ბელადების ურყევი ნებისყოფა— განეგრძოთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა რევოლუციური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და მომზადებინათ ნიადაგი მუშებისა და გლეხების ძლევამოსილი გამარჯვებისათვის ცარიზმსა და ბურჟუაზიაზე.

* * *

ი. ბ. სტალინის თხზულებათა II ტომში მოთავსებული 1907 წლის პირველ ნახევარში დაწერილი სტატიები უმთავრესად ეხება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ტაქტიკური უთანხმოების საკითხებს რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. სტატიაში — „კ. კაუცკის ბროშურის — „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები" ქართული გამოცემის წინასიტყვაობა" სტალინი არჩევს უთანხმოების ოთხ ძირითად საკითხს და ნათელჰყოფს ბოლშევიკებისა და მენშევიკების მკვეთრ, დიამეტრალურ დაპირისპირებას ამ საკითხებში. ეს საკითხები შემდეგია:

1. ვინ უხელმძღვანელებს რევოლუციას და შემოიკრებს ხალხის უკმაყოფილო ელემენტებს: ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი? პროლეტარიატი გაჰყვება კუდში ბურჟუაზიას, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, თუ ბურჟუაზია გაჰყვება პროლეტარიატს? მენშევიკების აზრით, ჩვენი რევოლუცია უბრალო განმეორება იყო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და, როგორც საფრანგეთში რევოლუციას ხელმძღვანელობდა ბურჟუაზია, ასევე ჩვენში რევოლუციის ხელმძღვანელობა თვით ბურჟუაზიას უნდა გაეწია, ხოლო პროლეტარიატი ბურჟუაზიას უნდა გაჰყოლოდა კუდში, მისი დამხმარე უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ მენშევიკებისა, ბოლშევიკები აღიარებდნენ, რომ ჩვენი რევოლუცია არ არის უბრალო განმეორება საფრანგეთის რევოლუციისა. „საფრანგეთში, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — პროლეტარიატი ნაკლებშეგნებული და დაურაზმავი იყო, რის გამოც რევოლუციის მეთაურობა ბურჟუაზიას დარჩა; ჩვენში კი პროლეტარიატი შედარებით უფრო შეგნებულია და დარაზმული, რის გამოც ის ბურჟუაზიის მაჩანჩალობას აღარ სჯერდება და, როგორც ურევოლუციონერესი კლასი, სათავეში ექცევა დღევანდელ მოძრაობას. პროლეტარიატის მეთაურობა ოცნება არ არის, — ის ცოცხალი ფაქტია, პროლეტარიატი ფაქტიურად იკრებს თავის გარშემო უკმაყოფილო ელემენტებს", (სტალინი, ტ. II, გვ 3).

2. შეუძლია თუ არა ლიბერალურ ბურჟუაზიას მოკავშირეობა მაინც გაუწიოს პროლეტარიატს მიმდინარე რევოლუციაში? ამ კითხვაზე ბოლშევიკები უარყოფითად უპასუხებდნენ და ასეთ პოზიციას იმით ასაბუთებდნენ, რომ კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში ბურჟუაზიას ეშინია პროლეტარიატისა, იგი იქცევა რევოლუციის მტრად და რეაქციის მოკავშირედ. პროლეტარიატის ნამდვილი მოკავშირე მაშინ რევოლუციაში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ გლეხობა. მენშევიკები კი, პირიქით, ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის დამცველ კადეტებს რევოლუციურ ძალად, პროლეტარიატის საიმედო მოკავშირედ აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ მათ.

3. რომელმა კლასმა უნდა გაიმარჯვოს და დაიპყროს ძალაუფლება? ბოლშევიკების თვალსაზრისით მუშები და გლეხები იყვნენ რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალები და რევოლუციის გამარჯვებას უნდა მოჰყოლოდა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება. მენშევიკები უარჰყოფდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას, აღიარებდნენ ძალაუფლების გადასვლას კადეტური სათათბიროს ხელში და მხარს უჭერდნენ კადეტების ლოზუნგს პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნის შესახებ. „მენშევიკები პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურის მაგიერ კადეტების დიქტატურას გვიყენებენ" (ი. სტალინი, ტ. II. გვ. 11).

4. უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად წარმოშობილ დროებით რევოლუციურ მთავრობაში? ბოლშევიკებს შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნდათ სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობა დროებით რევოლუციურ მთავრობაში, რადგანაც ეს ხელს შეუწყობდა რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მენშევიკები კი უარჰყოფდნენ სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, რადგანაც, მათი აზრით, ეს მთავრობა ბურჟუაზიული იქნებოდა და მასში მონაწილეობა სოციალ-დემოკრატიას გადააგვარებდა და დაღუპავდა.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მთელი მსვლელობა ცხადჰყოფდა, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად უახლოვდებოდნენ და მჭიდროდ უკავშირდებოდნენ მენშევიკები ლიბერალურ ბურჟუაზიას და მის პარტიას — კადეტებს. ამხანაგ სტალინის სიტყვით, მენშევიკებს თავიანთი რევოლუციონერობა არა სწამდათ ისე მტკიცედ, როგორც კადეტებისა. კადეტების ბელადს პ. სტრუვეს სრული საფუძველი ჰქონდა განეცხადებინა, რომ მენშევიკებს უკვე ნახევრად კადეტებს უწოდებენ, ხოლო პლეხანოვს ბევრნი კადეტად სთვლიანო.

ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიის — კადეტების კონტრრევოლუციურ ბუნებას, მის კავშირს მეფის მთავრობასთან რევოლუციის წინააღმდეგ, მენშევიკების შემთანხმებლობას კადეტებთან, მათს მოღალატურ მოქმედებას ამხანაგმა სტალინმა ფარდა ახადა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სტატიებში: „საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები", „კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა?", „პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან", „ჩვენი კავკასიელი კლოუნები" და სხვ. ამ სტატიებში ცხადყოფილია, რომ კადეტები ხალხისა და რევოლუციის მოსისხლე მტრები არიან. „მაშინ როდესაც ხალხი იბრძვის, მაშინ როდესაც მუშები და გლეხები სისხლს ღვრიან რეაქციის დასამხობად, კადეტები კავშირს ჰკრავენ ამ რეაქციასთან ხალხის რევოლუციის ასალაგმავად!"—სწერდა ამხანაგი სტალინი (იქვე, გვ. 27).

რევოლუციის გამარჯვებისა და ხალხის თვითმპყრობელობის დამყარების წინააღმდეგ კადეტებთან ერთად გამოდიოდნენ მენშევიკები. ისინი, მხარს უჭერდნენ რა კადეტების ლოზუნგს პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნის შესახებ, ამით არსებითად მომხრენი იყვნენ კადეტების თვითმპყრობელობისა. მათ სურდათ კადეტების ეს ლოზუნგი გამოეცხადებინათ ხალხის ბრძოლის ლოზუნგად და ჩამოეშორებინათ ხალხის ყურადღება ბოლშევიკური ლოზუნგისაგან მუშებისა და გლეხების რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ამხანაგი სტალინი ასე განსაზღვრავდა მაშინ პარტიის ამოცანას: „ჩვენი ვალია, — ამბობდა იგი — გარს შემოვიკრიბოთ ყველა რევოლუციური ელემენტი და ბრძოლა გავუწიოთ კადეტებს, რომლებიც კავშირს ჰკრავენ რეაქციასთან რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ ერთსა და იმავე დროს ორნაირ ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ: როგორც რეაქციასთან, ისე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და მის დამცველებთან". (გვ. 16).

ამხანაგი სტალინი 1907 წლის აპრილ-მაისში შემდგარი პარტიის მეხუთე ყრილობის დელეგატი იყო თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყრილობის მუშაობაში. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ მან გამოაქვეყნა სტატია: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)", რომელშიც ღრმა ანალიზი გაუკეთა ყრილობის შედეგებს უდიდეს მნიშვნელობას პარტიის ცხოვრებაში. ყრილობამ თითქმის ყველა განხილულ საკითხზე ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღო. რამდენად შორს მიდიოდა მენშევიკების ბრძოლა ყრილობაზე პარტიის წინააღმდეგ, იმით ჩანს, რომ ისინი უარჰყოფდნენ პარტიის პროლეტარულ ხასიათს, მიიჩნევდნენ მას წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ორგანიზაციად და ვითომც ფართო მუშური პარტიის შესაქმნელად აყენებდნენ მუშური ყრილობის იდეას, რომელიც არსებითად არალეგალური პარტიის ლიკვიდაციის მოთხოვნას ნიშნავდა. მაგრამ მენშევიკებმა თავისი ვერ გაიტანეს. „ყრილობამ უარჰყო მუშათა ყრილობის იდეა, როგორც მავნე, ანტიპარტიული იდეა". (გვ. 81).

ყრილობაზე ბოლშევიზმმა გაიმარჯვა მენშევიზმზე. ეს არის მისი ისტორიული მნიშვნელობა.

* * *

1907 წლის ივლისიდან ამხანაგი სტალინი რევოლუციური მოღვაწეობისათვის გადავიდა ბაქოში, რომელიც მაშინ ამიერკავკასიის დიდი სამრეწველო რაიონი და რუსეთის მუშათა მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. სტალინმა თავის გარშემო დარაზმა ბოლშევიკ-ლენინელთა მტკიცე ბირთვი — ორჯონიკიძის, ჯაფარიძის, შაუმიანის, სპანდარიანის, ხანლარის, მამედოვის, ვაცეკის, ფიოლეტოვის, სარატოვეცის და სხვათა სახით და ბაქო ბოლშევიზმის ციხე-სიმაგრედ გადააქცია, ხოლო ბაქოს პროლეტარიატი თავისი გმირული ბრძოლით რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში ჩააყენა.

ამხანაგ სტალინის გადასვლას ბაქოში სამუშაოდ დაემთხვა სტოლიპინის რეაქციის პერიოდის დასაწყისი, რომელიც დაიწყო 1907 წლის 3 ივნისს მეფის მთავრობის მიერ II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვით. მეფის მთავრობის ამ რეაქციულ ნაბიჯს ამხანაგი სტალინი გამოეხმაურა სტატიით — „სათათბიროს გარეკვა და პროლეტარიატის ამოცანები", სადაც აღნიშნულია, რომ პროლეტარიატი არ უნდა დასჯერდეს სახელმწიფო სათათბიროს და გადაჭრით უნდა დაადგეს მეფის ხელისუფლების დამხობის გზას. „აბა დაუფიქრდით. იყო პირველი სათათბირო. იყო მეორეც. მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ „გადასჭრა" რევოლუციის ვერც ერთი საკითხი—და არც შეეძლო „გადაეჭრა". ძველებურად რჩებიან: გლეხები უმიწოდ, მუშები რვასაათიანი სამუშაო დღის მიუღებლად, ყველა მოქალაქე — პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებული".

რა დასკვნები და ამოცანები გამომდინარეობს II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვიდან?

„მეფის ხელისუფლების დამხობა და სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა — აი საით მივყევართ მეორე სათათბიროს გარეკვას.

ომი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, მჭიდრო კავშირი გლეხობასთან — აი რას გვეუბნება მეორე სათათბიროს გარეკვა.

პროლეტარიატის ამოცანაა შეგნებულად დაადგეს ამ გზას და ღირსეულად შეასრულოს რევოლუციის ბელადის როლი" (გვ. 45, 46).

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბაქოს კომიტეტმა 1907 წლის შემოდგომაზე ჩაატარა მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების კამპანია. სტალინმა შეადგინა „განაწესი III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებისათვის", სადაც მკაფიოდ განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ძირითადი ამოცანები სახელმწიფო სათათბიროში. „განაწესი" განხილულ და მიღებულ იქნა ბაქოელი მუშების რწმუნებულთა კრებაზე.

ბაქოს პროლეტარიატმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დიდი ბრძოლა ჩაატარა ნავთის მრეწველების წინააღმდეგ 1907 წლის მეორე ნახევარსა და 1908 წლის პირველ ნახევარში. ეს ბრძოლა ასახულია სტალინის ამ პერიოდის სტატიებში: „თათბირს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ!", „არჩევნების წინ", „ისევ გარანტიებიანი თათბირის შესახებ", „შემობრუნება ნავთის მრეწველთა ტაქტიკაში", „უნდა ვემზადოთ!", „ეკონომიური ტერორი და მუშათა მოძრაობა", „ნავთის მრეწველნი ეკონომიური ტერორის შესახებ", „თათბირი და მუშები". ამ სტატიებში გარკვეულია მუშათა მოძრაობის საარსებო საკითხები და დასახულია საბრძოლო ამოცანები ნავთის მრეწველების წინააღმდეგ.

ნავთის მრეწველები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ დაეჩლუნგებინათ მუშების პოლიტიკური შეგნება, გაერყვნათ ისინი, ჩაენერგათ მათში მონური ნდობა და მორჩილება, ხელი აეღებინებინათ მუშებისათვის ორგანიზებულ ბრძოლაზე ნავთის მრეწველების წინააღმდეგ. ამ ამოცანებს ემსახურებოდა ნავთის მრეწველების თათბირი მუშებთან. სწორი ტაქტიკის გამომუშავება ასეთი თათბირისადმი მეტად მნიშვნელოვანი იყო. მიეღო მონაწილეობა თათბირში თუ ბოიკოტი გამოეცხადებინა მისთვის? — აი, საკითხი, რომელიც პარტიას უნდა გადაეწყვიტა კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ზუსტი გათვალისწინებით.

ამხანაგმა სტალინმა გაითვალისწინა 1907 წლის შემოდგომისათვის არსებული მდგომარეობა და თათბირისადმი ბოიკოტის ტაქტიკა მიიჩნია ერთადერთ სწორ ტაქტიკად.

თათბირისადმი ბოიკოტის ტაქტიკამ აიძულა ნავთის მრეწველები მიემართათ მუშებისათვის, თუ რა პირობებში მიიღებდნენ ისინი მონაწილეობას თათბირის მუშაობაში. ბაქოს ბოლშევიკებმა სტალინის მეთაურობით წამოაყენეს ლოზუნგი: გარანტიებიანი თათბირი ან არავითარი თათბირი. „მხოლოდ მაშინ,—ამბობდა სტალინი, — როცა მუშებს საშუალებას მისცემენ 1) თავისუფლად იმსჯელონ თავიანთ მოთხოვნებზე, 2) თავისუფლად მოიწვიონ რწმუნებულთა მომავალი საბჭო, 3) თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი კავშირების სამსახურით, 4) თავისუფლად შეარჩიონ თათბირის გახსნის მომენტი, — მხოლოდ მაშინ წავლენ მუშები თათბირზე" (გვ. 147-148).

გარანტიებიანი თათბირის ბოლშევიკური ტაქტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო და იგი მკვეთრად უპირისპირდება ერთი მხრივ უგარანტიო თათბირის მენშევიკურ ტაქტიკას და მეორე მხრივ აუცილებელი ბოიკოტის ესერულ-დაშნაკურ ტაქტიკას.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ იქნა ბაქოს ბოლშევიკების გამარჯვება მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს გაჩაღებულ დიდ კამპანიაში. „სტოლიპინის რეაქციის საშინელ წყვდიადში პროლეტარული ბაქო უმაგალითო სანახაობას წარმოადგენს: ჩაღდება პროლეტარიატის ბრძოლა, მთელ რუსეთში გრგვინავს სტალინის პირმშოთა — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების ხმა. „მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის უკანასკნელი მოჰიკანები!" — ასე ახასიათებს ლენინი ბაქოს მუშების გმირულ ბრძოლას 1908 წელს!". (ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია, გვ. 44).

დიდი რევოლუციური მოღვაწეობა, რომელიც სტალინმა ბაქოში გააჩაღა, შეუმჩნეველი როდი დარჩა მეფის მთავრობისათვის. 1908 წლის 25 მარტს ამხანაგი სტალინი დააპატიმრეს და რვათვის პატიმრობის შემდეგ ორი წლით გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში, სოლვიჩეგოდსკში. 1909 წლის 24 ივნისს იგი გამოიქცა და ბაქოში დაბრუნდა. ამ პერიოდისათვის პარტიაში შექმნილი იყო მძიმე კრიზისული მდგომარეობა და პარტიის გამოსვლა ამ მდგომარეობიდან უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა კრიზისის დაძლევისათვის ბრძოლას. სტატიებში: „პარტიული კრიზისი და ჩვენი ამოცანები", „პარტიიდან", „წერილები კავკასიიდან", „ბაქოს კომიტეტის მიერ 1910 წლის 22 იანვარს მიღებული რეზოლუციები", „წერილი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სოლვიჩეგოდსკის გადასახლებიდან" ამხანაგი სტალინი პარტიაში მძიმე კრიზისული მდგომარეობის დახასიათებას იძლევა და იქიდან გამოსავალ გზებს სახავდა.

კრიზისი პარტიაში გამოწვეული იყო ერთი მხრივ რევოლუციის დამარცხებითა და სტოლიპინის რეაქციის მძვინვარებით, ხოლო მეორე მხრივ რეაქციით დამფრთხალი და უიმედობაში ჩავარდნილი მენშევიკების აშკარა ლიკვიდატორული ტაქტიკით. პარტიული კრიზისის არსი, სტალინის განსაზღვრით, იყო: 1. პარტიის მოწყვეტა ფართო მასებისაგან, 2. პარტიული ორგანიზაციების მოწყვეტა ერთმანეთისაგან. პარტიის კრიზისიდან გამოყვანა და გაჯანსაღება გარდუვალ ამოცანად დადგა. საფაბრიკო და საქარხნო პარტიული კომიტეტების მუშაობის გაძლიერება, ყველაზე მოწინავე, გამოცდილი და გავლენიანი მუშებისათვის პარტიაში უმნიშვნელოვანესი პოსტების ჩაბარება, საერთო რუსეთის გაზეთის შექმნა, რომელიც პარტიული მუშაობის ცენტრი იქნება და გააერთიანებს გაფანტულ ორგანიზაციებს, ასეთი უნდა ყოფილიყო მაშინ პარტიული კრიზისის გადაჭრის ეს გზები.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდში პარტიას უხდებოდა ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ მარჯვნიდან და მარცხნიდან. „პროლეტარის" რედაქციის გაფართოებულმა თათბირმა, რომელიც შესდგა ლენინის ხელმძღვანელობით 1909 წლის ივნისში, დაჰგმო ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი, როგორც „შებრუნებული ლიკვიდატორობა". განიხილა რა „პროლეტარის" რედაქციის თათბირის შედეგები, ბაქოს კომიტეტმა მიიღო ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „ბაქოს კომიტეტს მიაჩნია, რომ რედაქციის უმცირესობის თვალსაზრისი არ შეესაბამება პარტიისა და პროლეტარიატის ინტერესებს, და ამიტომ გადაჭრით უჭერს მხარს რედაქციის უმრავლესობის პოზიციას, რომლის წარმომადგენელიც არის ამხანაგი ლენინი". (გვ. 175).

ამხანაგმა სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა მენშევიზმი სტატიაში — „წერილები კავკასიიდან", სადაც ფართოდ განიხილავს მენშევიკების პროგრამულ და ტაქტიკურ ლიკვიდატორობას და ნათელჰყოფს, რომ ისინი უარჰყოფდნენ პარტიის პროგრამა-მინიმუმს და მოითხოვდნენ პარტიის პროგრამის „შეგუებას კადეტების პროგრამასთან", უარჰყოფდნენ რევოლუციურ ტაქტიკას და ქადაგებდნენ შემთანხმებლურ ტაქტიკას. „...თბილისელი მენშევიკების „ახალი" ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციით დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას, ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერი კადეტური ბურჟუაზიის მაჩანჩალად" (გვ. 208).

1910 წლის 23 მარტს ამხანაგი სტალინი კვლავ დააპატიმრეს და ბაქოში ნახევარი წლის პატიმრობის შემდეგ ისევ სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს. გადასახლებიდან 1910 წლის დეკემბერში სტალინმა ლენინს მისწერა წერილი, რომელშიც იწონებდა ლენინისა და პლეხანოვის ბლოკს არალეგალური პარტიის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, „ლიკვიდატორების ნაგავისაგან" მისი გაწმენდისათვის. ტროცკისტული ბლოკის შესახებ კი ამბობდა: „ეს არის ლაყე უპრინციპობა, სხვადასხვა პრინციპების მანილოვური ამალგამა, უპრინციპო ადამიანის უმწეო დარდი „კარგ პრინციპზე" (გვ. 223). ამხანაგი სტალინი მთავარ, გადაუდებელ, სადღეისო ამოცანად აყენებდა რუსეთში პარტიული მუშაობის მოწყობას და დასძენდა, რომ თუ მუშაკების ნაკლებობა მართლაც მწვავეა, შემიძლია დაუყოვნებლივ წამოვიდეო.

1911 წლის მეორე ნახევრიდან იწყება ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პეტერბურგის პერიოდი. ამ პერიოდის ნაწერები ეხებიან: პარტიის განმტკიცებისათვის ბრძოლას, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის დახასიათებას, IV სახელმწიფო-სათათბიროს საარჩევნო კამპანიას, ბოლშევიკური პრესის და სხვა საკითხებს.

1912 წლის იანვარში შესდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პრაღის კონფერენცია, რომელმაც პარტიიდან განდევნა მენშევიკ-ლიკვიდატორები და დასაწყისი მისცა ახალი ტიპის მებრძოლ პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას. კონფერენციამ ამხანაგი სტალინი დაუსწრებლად აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და შექმნა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო, რომელსაც ლენინის წინადადებით სათავეში ჩაუდგა სტალინი. 1912 წლის 29 თებერვალს ამხანაგი სტალინი გადასახლებიდან გამოიქცა და მუშაობა გააჩაღა პეტერბურგში პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სტატიაში „პარტიისათვის!" ამხანაგი სტალინი ახასიათებს ქვეყნის რევოლუციური გზით განვითარების საერთო ამოცანებს და ამასთან დაკავშირებით აყენებს საკითხს პარტიის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. „პროლეტარიატის პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მუშაობის მოგვარება,—აი განსაკუთრებით რა არის საჭირო იმისათვის, რომ პროლეტარიატს შეეძლოს ღირსეულად შეხვდეს მომავალ რევოლუციურ გამოსვლებს" (გვ. 228). ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცება, ორგანიზაციული დაქსაქსულობის ლიკვიდაცია, რთული პარტიული საქმეებისათვის გაბედულად ხელის მოკიდება, ადგილობრივი ორგანიზაციების შემოკრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო — აი რა იყო საჭირო, სტალინის აზრით, პარტიის განმტკიცებისათვის.

სტატიებში — „გაუმარჯოს პირველ მაისს!", „ახალი ხანა", „ცხოვრება იმარჯვებს", „ისინი კარგად მუშაობენ", „დაიძრა", „დასკვნები", „რუსეთის ყველა მუშას და მუშა ქალს", „ლენის ხოცვა-ჟლეტის წლისთავი", რომლებიც 1912 წლის აპრილში და 1913 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა უმთავრესად პეტერბურგის გაზეთ „ზვეზდაში" ან ცალკე ფურცლებად, ეხებიან რევოლუციური აღმავლობის საკითხებს და მისი განვითარების პერსპექტივებს. რევოლუციური აღმავლობა განსაკუთრებით მძლავრად განვითარდა ლენის ოქროს სარეწვების მუშების დახვრეტის შემდეგ.

პარტიის ამოცანებს IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაში ამხანაგმა სტალინმა მიუძღვნა სტატიები: „როგორ ემზადებიან ისინი არჩევნებისათვის", „პეტერბურგის მუშების განაწესი თავიანთი მუშა დეპუტატისათვის", „რწმუნებულთა ნება", „პეტერბურგის მუშათა კურიაში ჩატარებული არჩევნების შედეგებისათვის", „დღეს არჩევნებია", „არჩევნები პეტერბურგში". ამ სტატიებმა სერიოზულად შეუწყეს ხელი პარტიის გამარჯვებას საარჩევნო კამპანიაში, რომელიც ლეგალური მუშაობის გაჩაღების მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენდა.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დაარსდა გაზეთი „პრავდა". მან მოამზადა გაზეთის პირველი ნომერი და სტატიაში „ჩვენი მიზნები" განსაზღვრა მისი მიმართულება და მიზნები: „რუსეთის მუშათა მოძრაობის გზის გაშუქება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შუქით, მუშებს შორის სიმართლის გავრცელება მუშათა კლასის მეგობრებისა და მტრების შესახებ, მუშათა საქმის ინტერესების საგუშაგოზე დგომა—აი რა მიზნებს მოემსახურება „პრავდა" (გვ. 265). გაზეთი მოუწოდებდა მტრებისადმი დაუზოგველი ბრძოლისაკენ და რევოლუციური მოძრაობის ერთიანობისაკენ. „ომი მუშათა მოძრაობის მტრებს, მშვიდობა და შეთანხმებული მუშაობა მოძრაობის შიგნით — აი რით იხელმძღვანელებს „პრავდა" თავის ყოველდღიურ მუშაობაში". (გვ. 266).

ი. ბ. სტალინის თხზულებათა II ტომში შესულია კლასიკური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი". იგი დაიწერა 1912 წლის დამლევს და 1913 წლის დამდეგს ვენაში და დაიბეჭდა ჟურნალ „პროსვეშჩენიეში". ლენინმა იცოდა, რომ ამხანაგი სტალინი ამ საკითხზე მუშაობდა და 1913 წლის თებერვალში სწერდა ა. მ. გორკის: „ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და „პროსვეშჩენიესათვის" სწერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეჰკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები". უფრო გვიან სტატიაში „რსდმპ ნაციონალური პროგრამის შესახებ" ლენინი აღნიშნავდა იმ მიზეზებს, რომლებმაც ნაციონალური საკითხი უფრო აქტუალური გახადეს მაშინ, და სწერდა: „თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში საქმის ეს ვითარება და ს. დ. ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე გაშუქებულ იქნა ამ ბოლო დროს (პირველი ადგილი აქ უკავია სტალინის სტატიას)". როცა ლენინმა გაიგო, რომ სტალინის ეს ნაშრომი უნდოდათ სადისკუსიოდ ჩაეთვალათ, კატეგორიულად გაილაშქრა ასეთი აზრის წინააღმდეგ. „რა თქმა უნდა, —ამბობდა ლენინი,—ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ. სტატია ძალიან კარგია. საკითხი საბრძოლოა და ჩვენ იოტის ოდენადაც არ დავთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელი არამზადების წინააღმდეგ".

ამხანაგი სტალინი არკვევს საკითხს, თუ რით აიხსნება, რომ ნაციონალურმა საკითხმა მაშინ წამოიწია თვალსაჩინო ადგილზე და განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი მიიღო სტოლიპინის რეაქციის პერიოდში. „...ზემოდან აგორებულმა მებრძოლი ნაციონალიზმის ტალღამ და მრავალმა რეპრესიამ „ძალაუფლების მპყრობელთა" მხრივ, რომლებიც შურს იძიებდნენ განაპირა მხარეებზე მათი „თავისუფლების მოყვარეობისათვის",—გამოიწვია ქვემოდან საპასუხო ტალღა ნაციონალიზმისა, რომელიც ზოგჯერ უხეშ შოვინიზმში გადადის". (გვ. 313). ნაციონალიზმის გაძლიერებამ და გავრცელებამ საფრთხე შექმნა მასში მუშათა მასების ჩათრევისა და ამით რევოლუციური ძალების დაქსაქსვისა. ეს მაშინ, როცა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ინტერესები მოითხოვდნენ, რაც შეიძლება მეტი მასების დარაზმვას ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. სოციალ-დემოკრატიას ევალებოდა ამ ამოცანის შეგნება და სათანადო პროგრამის შემუშავება, მაგრამ ყველა სოციალ-დემოკრატი მაშინ ამ ამოცანის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. „აშკარაა,—ამბობდა სტალინი,—აუცილებლად საჭიროა ნაციონალური საკითხის სერიოზული და ყოველმხრივი განხილვა. საჭიროა თანმიმდევარი სოციალ-დემოკრატების ერთსულოვანი და დაუღალავი მუშაობა ნაციონალისტური ბურუსის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი". (გვ. 315).

ამხანაგ სტალინის ნაშრომი წარმოადგენს ნაციონალური საკითხის უაღრესად სერიოზულ და ყოველმხრივ განხილვის ნიმუშს. ერის ცნების ღრმა მეცნიერული განსაზღვრა, ერების წარმოშობისა და განვითარების ახსნა, ნაციონალური მოძრაობის აღმოცენების, განვითარებისა და დაცემის ისტორიული პროცესის ჩვენება, ერთა თვითგამორკვევის უფლების ბოლშევიკური პროგრამის დასაბუთება და მისი დაპირისპირება კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამისადმი, ნაციონალური საკითხის დაკავშირება პროლეტარული რევოლუციის საკითხთან და მის შემადგენელ ნაწილად აღიარება, ნაციონალური საკითხის დაყენებისა და გადაჭრის მოთხოვნა ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით, II ინტერნაციონალის თეორეტიკოსთა, მენშევიკებისა და ბუნდელების ოპორტუნისტულ შეხედულებათა მკაცრი კრიტიკა ნაციონალურ საკითხში,—ასეთია მოკლედ ის მრავალფეროვანი საკითხები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი არჩევს თავის ნაშრომში.

„თუ კი სადმე საჭიროა საკითხის დიალექტიკურად დაყენება, ეს საჭიროა სწორედ აქ, ნაციონალურ საკითხში"— ამბობს ამხანაგი სტალინი და იგი მართლაც ყოველ საკითხს აყენებს და სწყვეტს მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის თვალსაზრისით.

ამხანაგ სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" „ომამდე ბოლშევიზმის უდიდესი გამოსვლა იყო ნაციონალურ საკითხში საერთაშორისო ასპარეზზე. **ეს იყო ბოლშევიზმის თეორია და საპროგრამო დეკლარაცია ნაციონალურ საკითხში**". (ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია, გვ. 53).

ი. ბ. სტალინის თხზულებათა II ტომის ნაწარმოებთ უდიდესი მაორგანიზებელი და დამრაზმავი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი აიარაღებდნენ პარტიასა და მუშათა კლასს გამარჯვების ურყევი რწმენით, აშუქებდნენ პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებს, ავითარებდნენ მასებში პოლიტიკურ შეგნებულობას, მოუწოდებდნენ ყველა ჯურის ოპორტუნიზმის განადგურებისაკენ, მოითხოვდნენ არალეგალური რევოლუციური პარტიის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, წვრთნიდნენ და ბრძოლისა და გამარჯვებისათვის აწრთობდნენ მასებს. მათი მნიშვნელობა განუზომელია ამჟამადაც საბჭოთა ადამიანების შესაიარაღებლად ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით აშენებისათვის.

ს. ლარცულიანი

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები სავაჭრო კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით საბჭოთა ვაჭრობის მუშაკების წინაშე დასმული ამოცანები მოითხოვს სავაჭრო აპარატის განმტკიცებას მომზადებული კადრებით, ამ კადრების პოლიტიკური აღზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის გაძლიერებას.

კადრების განაწილების, შესწავლისა და მომზადების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახლა — გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის პირობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის ივლისის პლენუმმა სერიოზული ამოცანები დააყენა საქართველოს პარტიული და სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე. ამ ამოცანათა დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ სავაჭრო ორგანიზაციები განვამტკიცოთ შემოწმებული, საქმის მცოდნე კადრებით, სწორად მოვახდინოთ ამ კადრების განაწილება, გავაძლიეროთ მათთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ვაჭრობის სისტემიდან განვდევნოთ სავაჭრო წესების დამრღვევნი და პასუხისგებაში ნამყოფი პირები.

გაიზარდა და განმტკიცდა სავაჭრო ქსელი ვაჭრობის საქმის მცოდნე მუშაკებით, საგრძნობლად შემცირდა გაფლანგვა-მტაცებლობის შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, კადრების შერჩევის, გამოყენებისა და მათი მომზადების მხრივ მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. სავაჭრო ორგანიზაციების კადრების განყოფილებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ხშირად მუშაკთა საარიცხვო დოკუმენტების ფორმალურად შეგროვებით კმაყოფილდება, კრიტიკულად არ არჩევს ამ დოკუმენტებს, საფუძვლიანად არ სწავლობს სამუშაოზე მისაღები მუშაკის საქმიან მხარეს.

ფორმალურ ხასიათს ატარებს აგრეთვე ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციასთან არსებული საკვალიფიკაციო კომისიების მუშაობა. კადრების განყოფილებები კომისიაზე გასატარებელ მუშაკს წინასწარ კი არ ამოწმებენ და სწავლობენ მის საქმიან მხარეს ახალ სამუშაოზე მიღებამდე, არამედ ამა თუ იმ ადგილზე დანიშვნის შემდეგ ამოწმებენ მის შრომის წიგნაკს, მოითხოვენ დახასიათებებს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ძირშივე მცდარია.

საქვაჭრობის ზუგდიდის რაიგანყოფილებაში მაღაზიის გამგედ მიიღეს სავაჭრო წესების დარღვევისათვის ნასამართლები ო. სოსელია, რომლისთვისაც წინასწარ არ მოუთხოვიათ შრომის წიგნაკი და სათანადო დახასიათება იქიდან, სადაც ის ადრე მუშაობდა.

საქვაჭრობის თელავისა და გურჯაანის რაიგანყოფილებებში საკვალიფიკაციო კომისიები არც კი არსებობენ. ამის შედეგი იყო, რომ გურჯაანის განყოფილებამ (განყოფილების დირექტორი ამხ. ყანჩაველი) 1947 წელს მატერიალურად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სრულიად შეუმოწმებლად მიიღო ბაბიჩევები, რომლებმაც მუშაობის რამდენიმე დღის შემდეგ სავაჭრო ფული გაიტაცეს და მიიმალნენ.

კადრების ზერელედ შერჩევის ფაქტზე მეტყველებს საქვაჭრობის ზუგდიდის რაიგანყოფილების მუშაობის პრაქტიკა, სადაც 1947 წლის 1 იანვრიდან დღემდე სამუშაოდან მოხსნეს ან გაათავისუფლეს 72 პირი, აქედან გაფლანგვა-მტაცებლობისა და სავაჭრო წესების დარღვევისათვის 24. ამავე განყოფილების № 2 სასურსათო მაღაზიაში იმავე პერიოდში შეცვლილ იქნა მაღაზიის 4 გამგე და 3 გამყიდველი, № 3 მაღაზიაში შესცვალეს 4 გამგე, საკომისიო მაღაზიაში—5, ხოლო № 1 სასაუზმეში — ერთი მებუფეტე და 3 მზარეული.

მსგავსი შემთხვევები იყო გურჯაანისა და თელავის რაიონებშიც. მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე მისაღები მუშაკის საკვალიფიკაციო კომისიაზე წინასწარ შეუსწავლელად მიღება-დამტკიცების პრაქტიკა უნდა აღიკვეთოს.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს სავაჭრო დარგის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჯეროვან დონეზე დაყენების საკითხი. ფაქტია, რომ მთელი რიგი სავაჭრო ორგანიზაციები ნაკლებად მოითხოვენ მუშაკებისაგან ტექმინიმუმის ჩაბარებას. ზოგან ფორმალურად არსებობენ ტექმინიმუმის წრეები, მეცადინეობას სისტემატური ხასიათი არა აქვს, წრეებში გაერთიანებულ დახლის მუშაკებს ხელმძღვანელობენ არაკვალიფიციური ადამიანები, რომელთაც სავაჭრო დარგში მუშაობის საკმაო გამოცდილება და კულტურა არა აქვთ.

საქვაჭრობის ზუგდიდის რაიგანყოფილებამ წელს უნდა მოამზადოს და გადაამზადოს სავაჭრო დარგის 30 მუშაკი, დღემდე კი ერთი კაციც არ გადაუმზადებია. მსგავსი მდგომარეობაა ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებში.

ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სავაჭრო კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის. ამასთან წინასწარ შესცვალონ ისეთები, რომლებიც პრაქტიკულ მუშაობაში ვერ ამართლებენ ნდობას და კვალიფიკაციის ამაღლებით დაინტერესებას არ იჩენენ.

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სავაჭრო ქსელში უმაღლესი განათლების მქონე კადრების მიღებას. მაგალითად საქვაჭრობის ბორჯომის რაიგანყოფილებაში, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე არც ერთი კაცი არ მიუღიათ სამუშაოზე.

ადგილობრივი კადრების მომზადების საკითხით უნდა დაინტერესდეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროც. მასთან არსებობს ვაჭრობის ტექნიკუმი. როგორც წესი, ამ ტექნიკუმში უნდა სწავლობდნენ რაიონებიდან და სავაჭრო ორგანიზაციებიდან მოვლინებული პირები.

კადრების შერჩევითა და მომზადებით როდი ამოიწურება ხელმძღვანელი სავაჭრო ორგანოების მოვალეობა. მათ სისტემატური დახმარება უნდა გაუწიონ სამუშაოზე ახლად მიღებულ ადამიანებს, პრაქტიკულად შეასწავლონ კულტურული ვაჭრობა, ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ, მიუთითონ ნაკლოვანებებზე, დაეხმარონ მათს გამოსწორებაში და აღზარდონ თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტები.

სამწუხაროდ, აღზრდის ასეთ მეთოდს ხშირად არ მიმართავენ სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები. ისინი სისტემატურად აწყობენ მოულოდნელ რევიზიებს, ხოლო როდესაც რევიზიას მოახდენენ და ნაკლს აღმოაჩენენ, „შეღავათიანად“ ეკიდებიან დამნაშავეებს და ამით კვლავ ბოროტმოქმედების ჩადენის სტიმულს აძლევენ. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგალითად, საქვაჭრობის ცხაკაიას და ზუგდიდის განყოფილებებში. ამ რაიონებში მოულოდნელი რევიზიების დროს ზოგიერთ დახლის მუშაკს დანაკლისი აღმოაჩნდა. მათ დანაკლისი დააფარვინეს, ხოლო სხვა აღმზრდელობითი ღონისძიების გატარება უგულებელჰყვეს. ამის შედეგად იმავე პირებმა შემდეგში ორჯერ და სამჯერ მეტი თანხა გაფლანგეს. ზოგიერთი მათგანი ახლაც განაგრძობს მუშაობას, რადგან დანაკლისი კვლავ დააფარვინეს. ასეთი პრაქტიკა დასაგმობია.

მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას რეზერვის შერჩევა და მასთან მუშაობა. რეზერვიდან შერჩეული არ არიან მუშაკები ისეთ თანამდებობებზეც კი, როგორიცაა ცენტრალური მაღაზიების, საწყობებისა და სასადილო-რესტორანების გამგეები. საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა პირადად უხელმძღვანელონ რეზერვის შერჩევას, მისცენ მას პერიოდული დავალებანი, ყოველდღიური მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშაობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე მომუშავე პირთა საარიცხვო დოკუმენტების გაფორმებას. ეს აუცილებელი და საჭირო საქმე ზოგიერთ სავაჭრო დაწესებულებაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ზოგიერთი მუშაკის პირადი საქმე არასრულია და ფორმალურად არის შედგენილი, საქმეში არ მოიპოვება ფოტოსურათები, ცნობები და დახასიათებები წინა სამუშაოდან და სხვ.

ზოგიერთ განყოფილებათა სავაჭრო ქსელში დიდი ხნით მომუშავე პირებს ეძლევათ სტანდარტული დახასიათებები, რაც არასწორად უნდა ჩაითვალოს. ასეთი ფაქტებია საქვაჭრობის ცხაკაიას განყოფილების ქსელში, სადაც 86 მუშაკზე გაცემულია წინასწარ სტანდარტულად დაბეჭდილი დახასიათებანი. ჩაუწერენ გვარსა და სახელს, და ყველაფერი მზად არის. დახასიათების გაცემისადმი ასეთი უპასუხისმგებლო და ფორმალური დამოკიდებულება ყოვლად შეუწყნარებელია.

აღნიშნულ ნაკლს ისიც ერთვის, რომ ზოგან უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შრომის წიგნაკებს. მათ აკერებენ მუშაკის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად და არ ინახავენ ცალკე ცეცხლგამძლე ყუთში, როგორც მნიშვნელოვან დოკუმენტს.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მათი კადრების განყოფილებათა მუშაკების ამოცანა ის არის, რომ გადაჭრით გააუმჯობესონ კადრების შერჩევისა და გამოყენების საქმე, სისტემატური დახმარება გაუწიონ სამუშაოზე ახლად მიღებულ ადამიანებს პრაქტიკულ მუშაობაში, მოამზადონ და გადაამზადონ ისინი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით სავაჭრო ორგანიზაციებს განვამტკიცებთ საქმის მცოდნე, კულტურული და მომზადებული კადრებით, უახლოეს დროში აღმოვფხვრით იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობლად ახასიათებს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას.

ვ. კიკვაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების ინსტრუქტორი

მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ კამვოლური საამქროს სავარცხნ-საჩეჩ მანქანა „ნობელზე“ მომუშავე მრავალდაზგოსანი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მარიამ ივანისელი ყოველდღიურ ნორმას 130-140 პროცენტით ასრულებს.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სალურსმნე საამქროს მოწინავე სტახანოველები ნ. გიგოლაშვილი და ა. სოლოვიოვი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ, წლიური დავალება პირველმა შეასრულა 15 ივლისს, მეორემ 1 ივნისს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ახალი ხუთწლედის მშენებლობებზე

გორის ბამბეულის კომბინატი

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან, ქალაქ გორის მახლობლად, აღუმართავთ უამრავი ხარაჩოები: აშენებენ სხვადასხვა ნაგებობებს, საცხოვრებელ სახლებს, საწყობებს...

შენდება საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მძლავრი საფეიქრო კომბინატი, რომელიც მოსახლეობას მიაწოდებს ბამბეულის მაღალხარისხოვან მრავალგვარი ასორტიმენტის ქსოვილს.

კომბინატის მშენებლობისათვის მოსამზადებელი მუშაობა გასულ წელს დამთავრდა. წელს დაიწყო კომბინატის ძირითადი ობიექტების მშენებლობა.

დამთავრებულია და საექსპლოატაციოდ გადაეცა მუშათა სამი საერთო საცხოვრებელი 300 კაცისათვის და 15 სახლი ინდივიდუალური სარგებლობისათვის. მალე დამთავრდება კიდევ სამი საერთო საცხოვრებლის აგება თვითეული 100 კაცისათვის. შენდება აგრეთვე 20 ინდივიდუალური საცხოვრებელი. მალე მზად იქნება მუშათა სასადილო, რომელიც ერთდროულად 242 კაცს გაუწევს მომსახურებას. შენდება სავაჭროები და დამხმარე ნაგებობანი. მთავრდება ხე-ტყის სახერხი ქარხნის, საწყობების, სამექანიკო, სადურგლო და სხვა საამქროების ნაგებობათა მშენებლობა. აშენდა გარაჟი 50 მანქანისათვის, აგებენ მუშათა კლუბს. 15 აგვისტომდე დამთავრდება მშენებლობის სამმართველოს ორსართულიანი სახლის აგება. გარდა ამისა, დაიწყო კომბინატის მუშებისათვის მუდმივი საცხოვრებელი 10 სახლის მშენებლობა, რაც მესამე კვარტალში დამთავრდება. სულ წელს კომბინატის მუშებისათვის აშენდება 2.500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გადაწყვეტილია გორში, სტალინის ქუჩაზე აშენდეს კომბინატის მომსახურე პერსონალისათვის ხუთი სამსართულიანი სახლი, აქედან სამი სახლის მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს.

მშენებლობის კოლექტივი შეუდგა კომბინატის მთავარი კორპუსის აგებას. უკვე შესრულებულია 2.500 კუბმეტრი მიწის სამუშაო. მთავარი კორპუსისთვის 4 ჰექტარი ფართობია გამოყოფილი. დაიწყო აგრეთვე ცენტრალური სარემონტო სახელოსნოს მშენებლობა. მისი ფართობი 3.182 კვადრატული მეტრი იქნება. მალე დაიწყება კომბინატისათვის განკუთვნილი რკინიგზის ჩიხის მშენებლობაც. წარმატებით მიმდინარეობს წყალსადენის მშენებლობა.

მშენებელთა ბავშვებისათვის ბოშურის ხეობაში გახსნილია ბანაკი, სადაც მუშათა 85 ბავშვი ისვენებს. ახლო ხანში მშენებლობაზე გაიხსნება საბავშვო ბაგა 30 ბავშვისათვის და საბავშვო ბაღი 60 ბავშვისათვის.

მშენებლობის კოლექტივი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის მიმდინარე წლის სამშენებლო პროგრამის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

შ. ჩუბინიძე

პირველი ნაბიჯი წუნის შესამცირებლად

პროდუქციის გამოშვების გეგმას ავჭალის ლითონსამსხმელო ქარხანა თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ ამ ქარხანაში დღემდე უშვებდნენ ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტ წუნდებულ პროდუქციას. ეს ნაკლოვანებანი ქარხნის მუშაობაში სამართლიანად აღინიშნა თბილისის სამეურნეო-პარტიული აქტივის ამას წინათ მოწვეულ კრებაზე.

აქტივის მიერ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად ქარხნის დირექციამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა გამოჰყვეს სპეციალისტთა კომისია, რომელმაც შეამოწმა და გამოავლინა წუნდებული პროდუქციის გამოშვების მიზეზები. გამოირკვა, რომ სადნობ საამქროში (უფროსი ე. ხუჭუა) ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, ბოვეებში ლითონის დატვირთვის დროს არ იცავენ წონის სავალდებულო პროპორციას. სათანადო დონეზე არ იდგა მუშაობა ქარხნის საკონტროლო-ტექნიკურ განყოფილებაში (უფროსი მ. გაბატაშვილი), რომლის მუშაკები სისტემატურად არ ატყობინებდნენ საამქროს მუშებსა და ოსტატებს წუნდებული სხმულის რაოდენობას.

გამორკვევის შედეგები ქარხნის ღია პარტიულ კრებაზე მოისმინეს. ქარხნის სტახანოველებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს.

ახლა ქარხანაში მთავარი ყურადღება ტექნოლოგიური პროცესების განმტკიცებისაკენაა მიმართული. თანდათან უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ქარხნის კოლექტივმა მუშაობის რენტაბელობისათვის ბევრი საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიება განახორციელა. მათ შორის აღსანიშნავია ქარხნის დირექტორის ი. სიხარულიძის წინადადება, რომლის საფუძველზე მაღალხარისხოვანი თუჯის გამოდნობა ნაცვლად ელექტროღუმელებისა, ახლა სწარმოებს ბოვეებში ურაფინაციოდ. აქამდე დაზგა „დიპ-300“-ის საყალიბო მოდელები ხისგან მზადდებოდა, რომელთა მუშაობის ხანგრძლივობა 1-1,5 თვეს არ აღემატებოდა. სამოდელო საამქროს უფროსის ა. დავითაშვილისა და საყალიბო საამქროს ოსტატის ა. მაისურაძის წინადადებით აღნიშნული დაზგის საყალიბო მოდელები დამზადდა მეტალური ალუმინისაგან, რაც ქარხანას მარტო წელს ათეულ ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

შ. ამირანაშვილი

სააფთიაქო სამმართველოს ქსელის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ჩატარდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ქსელის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ა. ხელიძემ. თათბირმა მოისმინა მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსის ამხ. პ. გელბახიანის მოხსენება „1947 წლის მუშაობის შედეგები და 1948 წელს მოსახლეობის წამლეულით მომსახურების და სამკურნალო დაწესებულებათა მედიკურ-სანიტარული საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. შემდეგ თათბირმა მოისმინა თბილისის პირველი ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის დირექტორის ამხ. ა. პეტროსიანის მოხსენება გალენური პრეპარატების წარმოების მდგომარეობისა და 1948 წელს ქარხნის ნედლეულით მომარაგების შესახებ.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 37 კაცმა. მათ აღნიშნეს მუშაობის ნაკლოვანი მხარეები პრეპარატებით მომარაგებისა და ზამთრისათვის მომზადების დარგში. თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს თბილისის პირველი გალენური ქარხანა მოუქნელი მუშაობისათვის, რის შედეგადაც ზოგიერთი პირველი საჭიროების მედიკამენტის ნაკლებობაა.

არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთისა და უკეთ მუშაობისათვის თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. ქუთათელაძე, რომელმაც თათბირის მონაწილეებს უამბო ადგილობრივი ნედლეულიდან ახალ სამკურნალო საშუალებათა დამზადების შესახებ.

თბილისის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის პირველი გამოშვება

30 ივლისს, ვოროშილოვის სახელობის კლუბის ბაღში შედგა თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის პირველი გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

აქ შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, სასწავლებლის აღზრდილები და პედაგოგები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილეები ამხ. გ. ჯიბლაძე და ა. ნუცუბიძე, საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. კ. მიქიაშვილი, № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ამხ. გ. ისაკაძე, არქიტექტორები ამხ. ბ. გოგაძე, ა. კრავჩენკო და სხვები.

დიდი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი.

მოხსენებით სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის მუშაობის შესახებ გამოვიდა სასწავლებლის დირექტორის მოადგილე პოლიტმასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ამხ. გ. კალანდაძე.

თბილისის № 11 სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი შეიქმნა სამი წლის წინათ ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის ინიციატივით. მის კედლებში იზრდებიან მაღალკვალიფიციური მძერწავ-მემოდელეები, მეალფრე—ფერმწერები და მჭედავ-გრავიორები.

პირველ 195 გამოშვებულთა შორის არიან სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები. სასწავლებლის აღზრდილებმა — მძერწავმა-მემოდელეებმა პ. გურგენიძემ, დ. გვახარიამ, ვ. კუპაროვმა, ქვაზეამომჭრელებმა ს. გულუაშვილმა, ვ. ნატროშვილმა, მჭედავმა გრავიორმა გ. ანდრიაშვილმა და მრავალმა სხვამ თავი გამოიჩინეს თავისი საქმის მაღალ ოსტატებად.

სასწავლებელი დაამთავრა და უმაღლესი მე-7 თანრიგი მიიღო 20 კაცმა, მე-6 თანრიგი—82 კაცმა, მე-5—68 კაცმა.

სხვადასხვა მშენებლობაზე საწარმოო მუშაობასთან სწავლის შეთავსებით ყველა გამოშვებულმა გვიჩვენა, რომ ისინი მტკიცედ დაეუფლნენ თავიანთ პროფესიას.

თბილისის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელი, მისი ნიჭიერი მოსწავლეები და შესანიშნავი პედაგოგები ი. კერესელიძე, ე. ლოლობერიძე, გ. დედენაშვილი, მ. მოგილინი, დ. კიკაბიძე და სხვები არიან ცნობილნი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. შრომითი რეზერვების სასწავლებლების მოსწავლეთა ნამუშევრების საკავშირო გამოფენებზე მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადებზე, სასპორტო შეჯიბრებებზე ამ სასწავლებლის მოსწავლეებს არაერთხელ დაუმსახურებიათ მაღალი ქება და პირველობა მოუპოვებიათ.

საზეიმო საღამოზე გამოვიდა სასწავლებლის კურსდამთავრებული მძერწავი-მემოდელე დ. ციციშვილი, სასწავლებლის უფროსი ოსტატი მოქანდაკე ი. კერესელიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოდან მოქანდაკე ა. კრავჩენკო და სხვები.

80 ფრიადოსან კურსდამთავრებულს გადაეცა სასწავლებლის საპატიო სიგელები.

საზეიმო საღამოს მონაწილეებმა მიიღეს მისალმება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანისადმი.

დასასრულ სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა დამსწრეთ უჩვენეს თავიანთი თვითშემოქმედება.

* * *

ვოროშილოვის კლუბის ბაღის ხეივნებში გაიხსნა სასწავლებლის აღზრდილთა ნამუშევრების ნიმუშთა გამოფენა, აქ წარმოდგენილი იყო 500-დე სხვადასხვა ნამუშევარი, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ოსტატობით. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო დიდი სტალინის მონუმენტმა, რომლის სიმაღლე დაახლოებით 3 მეტრია. ეს მონუმენტი, ჩამოსხმული ბრინჯაოდან, სამხატვრო სხმის საამქროს მოსწავლეთა კოლექტიური ნაშრომია. ამ საამქროს მეთაურობენ გამოცდილი ოსტატები გ. დედენაშვილი და მ. მოგილინი. (საქდესი).

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

მეშახტე ახალგაზრდობის შრომითი მამაცობა

ტყიბულის შახტების ახალგაზრდობა გაცხოველებით ემზადება ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავისათვის, თავდადებით შრომობს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის მოსაპოვებლად.

გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ თავის 84-ე ნომრის მეორე გვერდს მიუძღვნის მეშახტე ახალგაზრდობის შრომითს საქმეებს. გვერდში მოთავსებულია კომკავშირული ცვლის უფროსების, ბრიგადირების, მნგრეველების, მებიგეებისა და სხვათა წერილები. ისინი მკითხველებს მოუთხრობენ, თუ როგორ მუშაობენ ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად. სტალინის სახელობის შახტის მეშვიდე უბნის ცვლის უფროსი, კომკავშირელი მ. ხეცურიანი სწერს:

„ჩვენს ცვლაში უმრავლესობა ახალგაზრდა მეშახტეები არიან. მათ სანგრევში მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება არა აქვთ. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი თავდადებული მუშაობის მაგალითებს გვიჩვენებს.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის კურსდამთავრებული ი. კობახიძე ჩვენი ცვლის ერთ-ერთი მოწინავე მნგრეველია. 150-180 პროცენტი — ასეთია მისი ყოველდღიური მუშაობის მაჩვენებელი. სტახანოვურად მუშაობს ახალგაზრდა მტვირთავი გ. დათუაშვილი. 14 ტონის ნაცვლად იგი სისტემატურად 20-25 ტონა ქვანახშირს ტვირთავს. მექანიზმებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს კომკავშირელი ელექტროზეინკალი ი. ლაფერაძე.

ახალგაზრდები ჩვენი ცვლის სიამაყენი არიან. ისინი დღითიდღე ეუფლებიან ქვანახშირის ფენების დამუშავების ახალ, ჰიდრავლური ვსების მეთოდს“.

წერილში — „ქვანახშირის სანგრევში“ სტალინის სახელობის შახტის მეორე უბნის კომკავშირელი მნგრეველი ო. ცეცხლაძე სწერს, თუ როგორ ასრულებს ყოველდღიურ დავალებას, და პირობას იძლევა, რომ კომკავშირის XXX წლისთავისათვის 16 თვის გეგმას შეასრულებს. სტალინის სახელობის შახტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. გოგელაშვილი აღნიშნავს მეშახტე კომკავშირელთა შრომითი მამაცობის ცალკეულ ფაქტებს და დაწვრილებით აშუქებს იმ მუშაობას, რასაც შახტის კომკავშირული ორგანიზაცია ეწევა მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის ახალგაზრდობის დასარაზმავად.

„ახალგაზრდობისთვის სისტემატურად ვაწყობთ ლექცია-მოხსენებებს, — სწერს იგი, — წელს მოვაწყეთ 9 ლექცია. ლექციები წაკითხულ იქნა თემებზე: „როგორ ვიმუშაოთ დამოუკიდებლად წიგნზე“, „შახტში უსაფრთხოობის წესების დაცვის შესახებ“ და სხვ. 15-ჯერ მოვაწყეთ კოლექტიური დასწრება მხატვრულ კინოფილმებზე“.

სამთო მექანიზმების დაუფლების საკითხს ეხება ახალგაზრდა ელექტრომონტიორების გ. ბუხაიძისა და შ. დარსაძის წერილი, კომკავშირელი მებიგე დ. ჩუბინიძე მკითხველებს მოუთხრობს, თუ როგორ იმაღლებს კვალიფიკაციას.

ისტორიულ სიძველეთა დასაცავად

ლენინგორის რაიონულ გაზეთ „სტალინელის“ 8 ივლისის ნომერში დაბეჭდილია წერილი სათაურით „ისტორიულ სიძველეებს დაცვა სჭირდება“. წერილის ავტორი სწერს:

„სოფელ ყანჩაეთის მიდამოში შემონახულია მეტად საყურადღებო ისტორიული ნაგებობა. ეს არის ქართული ჩუქურთმებითა და ორნამენტებით დამშვენებული ტაძარი, რომელიც თუმცა ჩამონგრეულია, მაგრამ მაინც საინტერესო ობიექტს წარმოადგენს ქართული ხელოვნების ისტორიისათვის.

სამწუხაროდ, ეს ძეგლი სავსებით დაუცველია. ამ საყურადღებო ისტორიული ძეგლის მიდამოებში ნახირი სძოვს. უფრო მეტიც: თვითონ ტაძარი და მისი გალავანი საქონლის საჩრდილებლად არის გამოყენებული“.

წერილის ავტორი მართებულად აყენებს ტაძრის დაცვის საკითხს, მით უმეტეს, რომ ეს სავსებით ადვილი მოსაგვარებელია.

ჩვენ გვწერენ

როდის შეასრულებენ დაპირებას?

თბილისის ლენინის რაიონში ვოროშილოვის ქუჩა გადის საბჭოს ქუჩის პარალელურად. ამ ორ პარალელურ ქუჩას სჭრის სვანეთის ხევი, რომელიც იწყება ქ. თბილისის ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთებიდან. ხევი გადის ვოროშილოვის ქუჩაზე მდებარე №№ 64 და 66 სახლებს შუა. ამ ხევის მიზეზით წვიმიანობის დროს ნიაღვრისაგან საფრთხეშია საცხოვრებელი ბინები და თვით ქუჩა. ამ მდგომარეობის შესახებ გასული წლის მაისში რამდენჯერმე დავაყენეთ საკითხი, ვთხოულობდით ყურადღებასა და დახმარებას. ჩვენი განცხადება შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეცა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მალე მივიღეთ პასუხი, რომ ხევს 1947 წლის მესამე კვარტალში გავამაგრებთო. გავიდა მესამე კვარტალი, მას მიჰყვა მეოთხეც, ხოლო ხევის გამაგრებას და საცხოვრებელი სახლების დასაცავად ჯებირების გაკეთებას არაფერი ეშველა.

დადგა 1948 წელი. ხევის გამაგრების შესახებ კვლავ დავაყენეთ საკითხი. ეს იყო მიმდინარე წლის 18 თებერვალს. როგორც შარშან, ახლაც თბილისის საბჭოს აღმასკომისაგან მივიღეთ დამამშვიდებელი პასუხი, აღნიშნულ ხევს 1948 წლის მეორე კვარტალში გავამაგრებთო. გავიდა მეორე კვარტალიც, მაგრამ ხევი კვლავ გაუმაგრებელია.

მიმდინარე წლის ივნისში ნიაღვარმა მრავალი სახლი დააზიანა, ქუჩა რიყედ აქცია. განა დრო არ არის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ ახლა მაინც გაამართლოს თავისი ორგზის დაპირება და შეუდგეს ამ ხევის ნაპირების გამაგრებას?

ვოროშილოვის ქუჩაზე მცხოვრებთა დავალებით: **გ. ლომიძე, მ. ალთუნაშვილი**

რა იფარება „კრიპსის გეგმაში"

ლონდონი, 28 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესა აღნიშნავს, ამერიკის მსხვილი კაპიტალის მიერ ინგლისის მრეწველობის ჩაბშობის გეგმა, უეჭველია, გულდასმით არის მომზადებული. „დეილი უორკერი" სწერს, რომ კრიპსს კონსულტაცია არ ჰქონია კაბინეტთან მანამდე, ვიდრე გამოაცხადებდა „მარშალის გეგმის" განხორციელების ადმინისტრატორის გოფმანის მიერ დასახულ გეგმას, რომ ამერიკის მსხვილი კაპიტალი მონაწილეობას მიიღებს ინგლისის მრეწველობის რეორგანიზაციაში. „დეილი უორკერის" აზრით, მხოლოდ რამდენიმე წამყვან მინისტრს ეცნობა გოფმანის მოთხოვნა ინგლისის მრეწველობის პროდუქციის გადიდების საკითხთა ინგლის-ამერიკის „საკონსულტაციო" საბჭოს შექმნის შესახებ.

„ფინანსთა მინისტრმა, — სწერს „დეილი უორკერი", — ისარგებლა მათი მხარდაჭერით და ეს გეგმა გააცნო გაერთიანებულ ეროვნულ სამრეწველო საბჭოს (რომელიც შესდგება მეწარმეთა და პროფკავშირთა წარმომადგენლებისაგან) თავისი გამგზავრების წინ პარიზში 16 ქვეყნის კონფერენციაზე, და საბჭომ მისცა თავისი თანხმობა.

„დეილი უორკერი" სწერს, რომ ამ კონფერენციაზე ამერიკის პროფკავშირები ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დაჟინებითი მოთხოვნით გზავნიან უძლიერეს დელეგაციას, რომელიც შესდგება „გაწვრთნილი პროფკავშირული ზღვის ლომებისაგან". მათ შორის არიან ქალის ტანსაცმლის მკერავთა პროფკავშირის თავმჯდომარე დუბინსკი და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საერთაშორისო განყოფილების დირექტორი როსი, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებდა მიმდინარე წლის დამდეგს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გათიშვის კამპანიაში „მარშალის გეგმის" მხარდაჭერის საკითხთან დაკავშირებით.

„მოქმედებს რა ლონდონის საელჩოში სახელმწიფო დეპარტამენტის შრომის საკითხების მრჩეველთან მჭიდრო თანამშრომლობით,— ლაპარაკობს გაზეთი, — ეს დიდი დელეგაცია შეეცდება ორი მიზნის მიღწევას. ჯერ ერთი, მიიღოს როგორც ინგლისის, ისე ევროპის პროფკავშირთა მხარდაჭერა საკონსულტაციო ტექნიკური კომიტეტების შექმნის საქმეში, რომელთა შექმნაც სურს გოფმანს როგორც ინგლისში ისე სხვა ქვეყნებში, და მეორე, რაც შეიძლება მალე გადააქციოს 16 ქვეყნის პროფკავშირული ორგანო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოქიშპე ორგანიზაციად და საბოლოოდ გახადოს იგი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მემკვიდრედ. ამ საქმეში ისინი სარგებლობენ ბრიტანეთის ტრედიუნიონთა კონგრესის ზოგიერთი ლიდერის მხარდაჭერით".

პრაღა, 28 ივლისი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი ცნობაში სათაურით „ინგლისის მრეწველობაში ამერიკელთა შეჭრის კრიპსის გეგმა", სწერს:

„ინგლისის მრეწველობაში ამერიკელ „ექსპერტთა" და პროფკავშირთა მოღვაწეების ჩაბმისა და პროდუქციის გადიდების მეთოდების ინგლისელებისათვის სწავლების გეგმა, რომელიც ინგლისის ფინანსთა მინისტრმა სტაფორდ კრიპსმა თავმდაბლად წარუდგინა ინგლისის საზოგადოებას როგორც საკუთარი ქმნილება, ფაქტიურად წარმოადგენს ამერიკის მრეწველთა ეროვნული ასოციაციის — მსხვილ კაპიტალისტთა ორგანიზაციის — და მისი ინგლისური ორეულის — ბრიტანეთის მრეწველთა ფედერაციის საერთო სულიერ პირმშოს.

ამერიკის მეწარმეთა ასოციაციის წინადადება ინგლისში ჩამოიტანა ამერიკის მანქანათმშენებელი კონცერნის ჰორგ-უორნერის თავმჯდომარემ როიდ ჯიფორდმა, რომელსაც წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა გამოჩენილ საქმოსნებთან, მაგრამ განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს უჩვენოს ინგლისის პროფკავშირულ ლიდერებს ამერიკული „რეკომენდაციების" უპირატესობა.

ჯიფორდმა შესთავაზა ტექნიკის, წარმოებისა და პროდუქციის გასაღების დარგში საუკეთესო ამერიკელი ინჟინრებისა და სპეციალისტების სამსახური, და სთქვა: „დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამერიკელი ექსპერტები მოხვდნენ ინგლისის მრეწველობის შუაგულში; ამერიკელი ფოლადის სპეციალისტები — ინგლისის ფოლადსამსხმელო ფირმებში, მანქანათმშენებლობის საუკეთესო ამერიკელი სპეციალისტები — ინგლისის მანქანათმშენებელ კომპანიებში და სხვა".

ამრიგად, ამერიკელი ექსპერტები ადგილებზე შესძლებენ მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ კომპანიის მოთხოვნას „მარშალის გეგმით" დახმარების აღმოჩენის პრიორიტეტის შესახებ, — განმარტა ამერიკელ მეწარმეთა ფედერაციის წარმომადგენელმა. მაშასადამე, სტაფორდ კრიპსის გეგმა, რომელსაც ქება შეასხა ინგლისის კონსერვატიულმა პრესამ როგორც უახლეს დიდსულოვან წვლილს ევროპის აღდგენის საქმეში, ფაქტიურად მოასწავებს პირველ აშკარა გეგმას, რომ ამერიკის მსხვილმა კაპიტალმა შეაღწიოს „მარშალის გეგმის" მონაწილე ქვეყნების მრეწველობის ცალკეულ დარგებში, რათა ამ საწარმოებზე გავრცელდეს „უმეტესი მფარველობის" პრინციპი „მარშალის გეგმით" ასიგნებების მიმართ იმ მიზნით, რომ ბოლოს და ბოლოს მოგება თვითონ მიიღონ.

ინგლისის პროფკავშირთა რიგითი წევრები აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას ორივე ქვეყნის მეწარმეთა და პროფკავშირულ მოღვაწეთა შემადგენლობით ინგლის-ამერიკის საკონსულტაციო საბჭოს შესახებ, რომელმაც ვითომდა უნდა უზრუნველჰყოს პროდუქციის გადიდება.

„მარშალის გეგმის" მონაწილე ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). „მარშალის გეგმის" მონაწილე ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენციას, რომელიც დღეს იხსნება ტრანსპორტ-ჰაუზში და რომელსაც ოფიციალურად ეწოდება „ევროპის აღდგენის პროგრამით დაინტერესებული ნაციონალური პროფკავშირული ცენტრების კონფერენცია", დაესწრება 13 ქვეყნის 45-მდე დელეგატი. დელეგატთა რიცხვში შედიან არა მარტო პროფკავშირული ლიდერები, არამედ „ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის" ამერიკული ადმინისტრაციის სულ მცირე 5 წარმომადგენელი, ამასთან დაესწრება ჰარიმანი. ყველაზე დიდი იქნება ამერიკის პროფკავშირულ მოღვაწეთა დელეგაცია.

კონფერენცია მოისმენს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მოხსენებებს „მარშალის გეგმის" შესრულებაში მთავრობებთან პროფკავშირთა თანამშრომლობის და ამ თანამშრომლობის ფორმის შესახებ. როგორც იუწყებიან, ამერიკის პროფკავშირთა ლიდერებს განზრახული აქვთ მკაცრად გააკრიტიკონ ინგლისის პროფკავშირები იმისათვის, რომ ისინი „გულწრფელად არ ცდილობენ" გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, და იმისათვის, რომ ისინი სათანადოდ "არ აფასებენ „ევროპის აღდგენის პროგრამის წარმატებისათვის" პროდუქციის გამოშვების გადიდების მნიშვნელობას.

მიუხედავად იმ აღშფოთებისა, რაც ინგლისელ მუშებში ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერების ამ დირექტივამ უნდა გამოიწვიოს, ეს საკითხი ფაქტიურად გადაიჭრა 28 ივლისს, როცა ბრიტანეთის ტრედიუნიონთა კონგრესის გენერალურმა საბჭომ თავის სხდომაზე მოიწონა კრიპსის გადაწყვეტილება ინგლისის მრეწველობის პროდუქციის გადიდების საკითხთა ინგლის-ამერიკის „საკონსულტაციო საბჭოს" შექმნის შესახებ და ბრიტანეთის ტრედიუნიონთა კონგრესის წარმომადგენლებად საბჭოში დანიშნა ლინკოლნ ევანსი, ვ. ლოუტერი, ჯ. ტანერი, ტ. ულიამსონი, ჯ. ზეგნოლი და ა. ნესმიტი. გენერალური საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ჯერ კიდევ იხილავენ პარლამენტში.

როგორც იუწყებიან, ამერიკელები აგრეთვე დაჟინებით მოითხოვენ „ევროპის აღდგენის პროგრამის" საკითხთა პროფკავშირული კონფერენციის მუდმივი ბიუროს შექმნას, რათა იგი, „ტაიმსის" კორესპონდენტის სიტყვით, გახადონ აქტიურად მოქმედი საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაცია და „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის პოტენციური მეტოქე".

ბერლინში დამთავრდა ფულის გამოცვლა

ბერლინი, 29 ივლისი. (საკდესი). 28 ივლისს ბერლინში დამთავრდა სპეციალური კუპონდაკრული რაიხსმარკებისა და რენტმარკების გადაცვლა გერმანულ მარკებზე.

ლუდვიგსჰაფენში მომხდარი კატასტროფის გამო

ბერლინი, 29 ივლისი. (საკდესი). ადნის სააგენტო იუწყება ლუდვიგსჰაფენში (საფრანგეთის საოკუპაციო ზონა) მომხდარი კატასტროფის შესახებ და აღნიშნავს, რომ აფეთქებამ სავსებით მოსპო 15 საქარხნო კორპუსი 18-დან. წინასწარი არასრული ცნობებით, მოკლულია ათასზე მეტი და მძიმედ დაჭრილია 1.400-ზე მეტი კაცი.

ადნი აღნიშნავს, რომ დილით, როცა ქარხანა მთელი სიმძლავრით მუშაობდა, სამი აფეთქება მოხდა მღებავ ნივთიერებათა განყოფილებაში. ამ აფეთქებების შემდეგ წარმოშობილი ფოსგენის ღრუბლები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებაა, გავრცელდა ქარხნის სხვა კორპუსებში და გამოიწვია ძლიერი აფეთქებანი.

სხვა ცნობებით, პირველი აფეთქება თითქოს მოხდა საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა ლაბორატორიაში, სადაც სწარმოებდა ძლიერ ფეთქებად ნივთიერებათა ცდები.

ის ადამიანები, რომლებმაც ეს აფეთქება განიცადეს, ბრალს სდებენ საფრანგეთის სამხედრო ადმინისტრაციას იმაში, რომ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მომხდარი კატასტროფის გამო. მათი ცნობებით ფრანგებმა ეს ქარხნები გამოიყენეს ძლიერ ფეთქებად ნივთიერებათა დასამზადებლად ეგრეთწოდებული „ფაუ-ვაზნებისათვის".

როგორც სააგენტო იუწყება, ქალაქები ლუდვიგსჰაფენი და მანჰაიმი წარმოადგენენ ისეთ სურათს, როგორიც შეიძლებოდა გვენახა მხოლოდ ძლიერი დაბომბვის დროს. თითქმის მთელი ქუჩები დაფარულია შუშის ნამტვრევებით, სატელეფონო კავშირი ფრანკფურტსა და ლუდვიგსჰაფენს შორის შეწყვეტილია, თვითონ ქალაქში ქაოსი სუფევს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ლუდვიგსჰაფენის კატასტროფასთან დაკავშირებით სწერს: „ეს „შემთხვევითი" არ არის. აქ აფეთქდა სამხედრო მასალები, რომლებსაც ტრიზონიაში ამზადებენ პოტსდამის გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ. ჩვენ ბრალს ვდებთ სათანადო საოკუპაციო ხელისუფალთ და მოვითხოვთ სასტიკ საერთაშორისო გამოძიებას. ეს საშინელი აფეთქება იმის თვალსაჩინო დადასტურებაა, რაზედაც ჩვენ მუდამ ვლაპარაკობდით, რომ ჩვენთვის, გერმანელებისათვის, თავს მოხვეული დასავლეთი სახელმწიფო გადაიქცევა მსოფლიო იმპერიალიზმის იარაღის არსენალად, სამხედრო პლაცდარმად, დღეს ჩვენი თანამემამულენი უკვე განიცდიან ევროპაში მშვიდობის წინააღმდეგ ამ დანაშაულის შედეგს.

მილიონობით გერმანელის სიკვდილი რომ აიცილონ, ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ჩვენს ხალხს დარაზმულად გამოვიდეს ახალი სამხედრო ფაბრიკანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. დასავლეთ საოკუპაციო ხელისუფალთა მსხვერპლის ოჯახებს ვუცხადებთ ჩვენს ღრმა თანაგრძნობას როგორც სოციალისტები და ანტიფაშისტები.

სახალხო გლოვის დღემ უნდა გააერთიანოს ყველა გერმანელი ომის გამჩაღებელთა დასაგმობად".

ლუდვიგსჰაფენის „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ქარხნების აფეთქების დაწვრილებითი ცნობები

ჰამბურგი, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ჰამბურგის რადიო გადმოგვცემს, რაინის ლუდვიგსჰაფენის „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ქარხნების აფეთქების დროს, წინასწარი ცნობებით, მოკლულია 500-600 და დაჭრილია 1.400 კაცი. კატასტროფის მიზეზი და ოდენობა დაწვრილებით მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოქვეყნდეს, როცა ჩააქრობენ ქარხნების ტერიტორიაზე მომხდარ დიდ ხანძრებს. ამერიკელთა და ფრანგთა სამხედრო ხელისუფლების მიერ შედგენილი განსაკუთრებული რაზმები, აგრეთვე წითელი ჯვრის რაზმები რამდენიმე საათის განმავლობაში იბრძვიან ხანძრის წინააღმდეგ. ისინი აირწინაღებით მუშაობენ, რათა თავი დაიცვან აფეთქების შედეგად შექმნილი გაზებისაგან. ლუდვიგსჰაფენსა და მანჰაიმში, რომელიც რაინის გაღმა ნაპირზე მდებარეობს, აფეთქების ტალღამ მრავალი სახლის ფანჯრები ჩალეწა. ქალაქების საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით.

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, დღეს დილით ლუდვიგსჰაფენის „ი. გ. ფარბენინდუსტრის" ქიმიურ ქარხნებში გრძელდებოდა აფეთქებანი. კატასტროფით დაზარალებულთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს. გერმანელთა პოლიციამ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 500-800 კაცი უკვალოდ დაიკარგა და ისინი დაღუპულად უნდა ჩაითვალონ.

ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ბერლინის მთელი რიგი გაზეთები თავიანთი სტატიებით მოითხოვენ — მოხდეს ლუდვიგსჰაფენის აფეთქების მიზეზთა საერთაშორისო გამოკვლევა. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქარხნები, სადაც აფეთქება მოხდა, ძლიერ ფეთქებად ნივთიერებას ამზადებდნენ „ფაუ-2" ტიპის თვითმფრინავ-ყუმბარებისათვის.

მარკოსის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" კორესპონდენტმა ბიგარტმა ჩრდილოეთ საბერძნეთში მგზავრობისადმი მიძღვნილი სერიის საბოლოო სტატიაში განაცხადა, რომ მარკოსმა ერთ-ერთ სოფელში 29 ივნისს მიცემულ ინტერვიუში სრული რწმენა გამოსთქვა, რომ მის ძალებს უნარი შესწევთ დიდხანს შეინარჩუნონ პოზიციები გრამოსის მთის რაიონსა და პინდის მთების ჩრდილოეთ ნაწილში. მარკოსის აზრით, ამერიკელი ოკუპანტების ევაკუაცია საბერძნეთიდან საჭიროა იმისათვის, რომ საბერძნეთში მშვიდობა დამყარდეს. მან აგრეთვე სთქვა, რომ პარტიზანთა ძალების რეზერვები და მატერიალური მარაგი ამჟამად უკეთესია, ვიდრე ერთი წლის წინათ იყო და რომ საბერძნეთის ახლანდელ შეტევას წარმატება არა აქვს. თუმცა ამ შეტევაში, როგორც ამბობენ, 70.000 კაცი იღებს მონაწილეობას. მოწინააღმდეგის მიზანია განდევნოს პარტიზანები ალბანეთის საზღვრიდან და შემდეგ გადარეკოს სამხრეთისაკენ, რათა დაცული ფლანგი მოუსპოს პარტიზანებს. მაგრამ ეს გეგმა არ სრულდება. მარკოსმა ილაპარაკა წინადღის (ე. ი. 28 ივნისის) ბრძოლებზე და განაცხადა, რომ პარტიზანებმა მთლიანად მოსპეს საბერძნეთის მთავრობის ერთი ბრიგადა და ხელთ იგდეს 65.000 ინგლისური ვაზნა, რაც საკმარისია იმისათვის, რომ 10 დღით უზრუნველჰყოს პარტიზანები.

მარკოსი აგრეთვე უარჰყოფდა, რომ პარტიზანები ალბანეთის საზღვარს არღვევდნენ, როგორც საბერძნეთის მთავრობა და ამერიკელები ამტკიცებდნენ. მარკოსი ფიქრობს, რომ სამოქალაქო ომი საბერძნეთში მრავალი თვის წინათ დამთავრდებოდა, ათენი რომ ინგლის-ამერიკისაგან დახმარებას არ იღებდეს.

მარკოსმა კომენტარი გაუკეთა სამხედრო მდგომარეობას და სთქვა, მე ვერ ვხედავ, რომ ხარისხობრივ გაუმჯობესებულიყოს საბერძნეთის არმია, რომელსაც ამერიკელი მრჩეველნი ხელმძღვანელობენ. პარტიზანებმა შექმნეს ოფიცერთა მოსამზადებელი სკოლა და ოფიცერთა ნაკლებობა ამჟამად ისე არ იგრძნობა, როგორც წინათ.

გაზეთი „უნიტა" პალმირო ტოლიატის გამოჯანსაღების შესახებ

პრაღა, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო რომიდან იუწყება, გაზეთი „უნიტა" ცნობაში სათაურით „მთელი მსოფლიოს მუშებისა და დემოკრატებისათვის სასიხარულო ამბავი" სწერს: „ტოლიატი გადარჩა. მიზანს ვერ მიაღწია დანაშაულებრივმა გეგმამ, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ მახვილი ჩაეცა იტალიის მუშათა კლასის და მისი პარტიის გულში და მძიმე ლახვარი ჩაეცა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობისათვის".

გაზეთმა გამოაქვეყნა კომუნისტური პარტიის ლენდინაროს (როდვიგო) ორგანიზაციის მდივნის წერილი პარტიის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის პიეტრო სეკიას სახელზე, რომლითაც მოითხოვს ტოლიატის გულმოდგინე დაცვას.

საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა დუნაის კონფერენციაზე ბელგრადში

ბელგრადი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს ბელგრადს დუნაის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ა. ი. ვიშინსკის მეთაურობით.

აეროდრომზე საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ა. ი. ლავრენტიევი, დუნაის კონფერენციაზე უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ა. მ. ბარანოვსკი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები. იუგოსლავიის მხრივ საბჭოთა დელეგაციას შეხვდნენ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ხიმიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ზებლერი, იუგოსლავიის ელჩი მოსკოვში ვ. პოპოვიჩი და იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ბელგრადში ჩავიდნენ დუნაის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები

ბელგრადი, 29 ივლისი. (საკდესი). დუნაის კონფერენციაზე მონაწილეობისათვის ბელგრადში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის დელეგაციები.

უკრაინის სსრ დელეგაციას მეთაურობს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ბარანოვსკი, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. კლემენტისი, რუმინეთის დელეგაციას—საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პაუკერი, უნგრეთის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრი ე. მოლნარი, ბულგარეთის დელეგაციას — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. კამენოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბელგრადში კ. კენონი, დიდი ბრიტანეთის დელეგაციას — დიდი ბრიტანეთის ელჩი ბელგრადში ჩ. პიკი, საფრანგეთის დელეგაციას — ექსპერტი ა. ტიერი, იუგოსლავიის დელეგაციას მეთაურობს იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ზებლერი.

ფინეთის ახალი მთავრობა

ჰელსინკი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს, მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმასკომისა და სეიმის ფრაქციის ერთობლივ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთპარტიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ, ფაგერჰოლმი რესპუბლიკის პრეზიდენტთან წავიდა.

სახელმწიფო საბჭოსთან ერთად გამართულ სხდომაზე პრეზიდენტმა ძველი მთავრობა გაათავისუფლა მოვალეობის შესრულებისაგან და დაამტკიცა ფაგერჰოლმის მიერ წარდგენილი ახალი მთავრობის წევრთა სია.

პრემიერ-მინისტრად დამტკიცებულია ფაგერჰოლმი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ენკელი.

მთავრობის ყველა წევრი, გარდა ენკელისა (უპარტიო), სოციალ-დემოკრატია.

აგრარიების კავშირის ფრაქციისა და ცენტრალური გამგეობის ერთობლივ სხდომაზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ მთავრობის საკითხის გამო. მაგრამ სეიმის ავტორიტეტულ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აგრარიები „ლოიალურ ოპოზიციას" დაიკავებენ ახალი მთავრობის მიმართ.

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის წრეებში მოსაზრებას გამოსთქვამენ, რომ ახალი მთავრობა შუალედი მთავრობა იქნება.

ნეკროლოგი

ნ. დ. ნუცუბიძე

განათლების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა მოსწავლე ახალგაზრდობის დახელოვნებული აღმზრდელი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ნუცუბიძე.

ნ. ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს ქალაქ ქუთაისში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1912 წელს, მან მუშაობა დაიწყო ბაქოს ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში, საიდანაც 1913 წლის სექტემბერში გადავიდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე ნ. ნუცუბიძე მთელი თავისი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით ჩაება საბჭოთა სკოლის მშენებლობის საქმეში. მუშაობდა ჯერ ქუთაისის მე-2 ჰუმანიტარული ტექნიკუმის გამგედ და შემდეგ 1936 წლამდე მეორე საშუალო სკოლის დირექტორად.

ნიკო ნუცუბიძე მუშაობდა აგრეთვე ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორად და ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის გამგედ. იგი ყოველთვის დიდი ზრუნვით უწევდა მეთოდურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდა მასწავლებლებს.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნ. ნუცუბიძე მუშაობდა ქუთაისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორად. პედაგოგიურ-მეთოდიური მუშაობის გარდა იგი ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ მუშაობას, იყო მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს წევრი.

ნ. ნუცუბიძე საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი იყო 1939 წლიდან. მისი მრავალი წლის უანგარო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად დააფასა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. 1939 წელს ნ. ნუცუბიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხანაგ ნიკო ნუცუბიძის ხსოვნა მუდამ დარჩება საქართველოს პედაგოგებისა და მის მიერ აღზრდილთა გულში.

ვ. კუპრაძე, ა. კვაჭაძე, მ. ბურჯულაძე, ი. ბეროზაშვილი, დ. ჯავახია, დ. ლორთქიფანიძე, უ. იობოლაძე, ვ. ქაჯაია, შ. იაშვილი, ნ. ჯაფარიძე, დ. გიორგაძე, ა. კობალაძე, დ. თომაშვილი, ვ. დემურია, პ. წულუკიძე, ი. ვაშაკიძე, ნ. მესხი, ლ. ჭელიძე, თ. ადამაძე, მ. კუჭუხიძე, ტ. ყურაშვილი, გ. წერეთელი, ა. მოსეშვილი.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოსცა ვაჟა ფშაველას ხუთმოქმედებიანი დრამა „მოკვეთილი". წიგნის რედაქტორია დ. მასხარაძე.

ამავე გამომცემლობამ გამოსცა შალვა დადიანის პიესა „გუშინდელნი". პიესის რედაქტორია შ. აფხაიძე.

„ხელოვნებამ" გამოსცა აგრეთვე შალვა კაშმაძის მონოგრაფია ცნობილ ქართველ მომღერალ სანდრო ინაშვილზე, მონოგრაფიის რედაქტორია პ. ხუჭუა, მხატვრულად გააფორმა შ. ბერიტაშვილმა.

დღეს, 31 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის კლუბში შესდგება

საზეიმო სხდომა

მიძღვნილი რესპუბლიკური პარტიული სკოლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვებისადმი. შესვლა თავისუფალია.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია 1948-49 სასწავლო წლისათვის ახალი ნაკადის მიღების იმ პირობების დამატებით, რაც 1 ივნისს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა, აცხადებს, რომ თანახმად უმაღლესი განათლების სამინისტროს ა. წ. 23 ივნისის № 906 ბრძანებისა, მიმდინარე სასწავლო წლიდან აღდგენილია ეკონომიური ფაკულტეტი.

ეკონომიური ფაკულტეტი ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის ეკონომისტებს მტს-ებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, სოფლის მეურნეობის განყოფილებებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო უწყებათათვის. იმის გამო, რომ მიმდინარე წლიდან სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი ნაცვლად სწავლული მეტყევისა მოამზადებს ინჟინერ-მეტყევეს, ამ ფაკულტეტზე შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს დამატებით მათემატიკასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, აგრეთვე ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომელნიც მოხვდნენ 5 %-ის ანგარიშში და შედიან ინსტიტუტში სპეციალობის მიხედვით.

დანარჩენი მისაღები კონტინგენტი გამოცდას აბარებს შემდეგ საგნებში: 1) ქართული ენა და ლიტერატურა, 2) რუსული ენა, 3) მათემატიკა, 4) სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 5) გეოგრაფია.

დანარჩენი პირობები უცვლელი რჩება.

შრომითი რეზერვების სამინისტროს სისტემის თბილისის მე-15 სახელოსნო სასწავლებელი აცხადებს 1948-49 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას შემდეგ პროფესიებზე: 1. ზეინკლები, 2. ხარატები, 3. მეთუნუქეები.

სასწავლებელში მიიღებიან 14-15 წლის ასაკის, ოთხი კლასის განათლების მქონე პირნი. სასწავლებელში შემსვლელის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. დაბადების მოწმობა, 2. განათლების მოწმობა, 3. ოთხი ცალი ფოტოსურათი.

სწავლება ორწლიანია.

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით, ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმლით. რაიონიდან ჩამოსულთ ბინა მიეცემათ საერთო საცხოვრებელში, სასწავლებლის მისამართი: თბილისი—ნავთლუღი, კომკავშირის მე-2 ქ. № 33.

საკავშირო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი 1948 წელს აწარმოებს მსმენელთა მიღებას I, II, III და IV კურსებზე. ინსტიტუტი ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს — ინჟინრებს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის.

მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. დართვის, 2. აბრეშუმის ამოღებისა და დართვის, 3. ქსოვის, 4. ტყავ-ფეხსაცმლის ტექნოლოგიის.

განცხადება მიიღება 15 აგვისტომდე.

გამოცდები იწარმოებს უმაღლესი ტექნიკური სკოლებისათვის დადგენილი წესებისა და პროგრამების შესაბამისად.

მიღების პირობების გაგება შეიძლება ფილიალში: **ორჯონიკიძის ქ. № 42,** საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო აწყობს: თბილისის მშრომელთა მასობრივ დასვენებას გამოსასვლელ დღეებში მცხეთასა და ფასანაურში. საგზურებით უზრუნველყოფილია: **კვება** (სანატორიუმის ნორმით) შაბათს ვახშამი, კვირას საუზმე და სადილი.

ბინა საერთო საცხოვრებელში.

ექსკურსიები:

მცხეთაში: ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების გასაცნობად, არქეოლოგიური გათხრების ადგილებზე, არმაზის უბანში.

ფასანაურში: მთიულეთის ძველი და ახალი ყოფაცხოვრების გასაცნობად (სოფ. ბიბლიანი). ტურისტული გასეირნება ჩაბარუხის ჩანჩქერზე.

კულტმომსახურება, მასობრივი ხეირნობა

ცეკვები სასულე ორკესტრის თანხლებით, სიმღერები, გასართობი და სპორტული თამაშობანი.

მცხეთაში: შეიძლება სარგებლობა საბანაო საცურაო სადგურით. საგზურის ღირებულება 36 მანეთი.

აქვე მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ აგრეთვე ერთდღიან ექსკურსიათა საგზურები. ექსკურსიის ღირებულება 5 მანეთი.

გორში: დიდი ბელადის—ამხანაგ სტალინის სამშობლოში. ღირებულება 5 მანეთი და 80 კაპ., ქ. თბილისში ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში—ღირებულება 3 მან. და 85 კაპ.

ექსკურსიები უზრუნველყოფილია კვალიფიციური ხელმძღვანელებით.

გადაყვანის საშუალებები:

მცხეთასა და გორში მატარებლით ან ავტობუსით. ფასანაურში — ავტობუსით, თბილისში — ავტობუსით.

საგზურებში ტრანსპორტის ღირებულება არ შედის. ავტობუსები გადიან თბილისის ტურისტული ბაზიდან (საბა-სულხანის ქ. № 11). შაბათს საღამოს 6 საათზე და კვირას დილის 8 საათზე, ხოლო მცხეთიდან და ფასანაურიდან ბრუნდებიან კვირას საღამოს 8 საათზე.

თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის მცხეთაში ეწყობა კოლექტიური დასვენება, მასობრივი გასეირნებანი, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან ზემოთ აღნიშნული საექსკურსიო და კულტურული მომსახურებით.

საგზურების მიღება შეიძლება თბილისში, საბა-სულხანის ქ. № 11 ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს სალაროში და ადგილობრივ ტურისტულ ბაზებში.

ცნობების მიღება ტელეფონით № 3-58-41.

მოქალაქე **გიორგი სოლომონის-ძე ტერელაძემ,** მცხოვრებმა სოფელ ლანირ-ქვიტორში (წულუკიძის რაიონი), აღძრა საქმე ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 94 მცხოვრებ მოქალაქე **ეკატერინე პავლეს ასულ კეკელიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **კონსტანტინე გიორგის-ძე ყურანაშვილმა,** მცხოვრებმა წყნეთის გზატკეცილის შესახვევი № 48, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ტატიანა იაგორის ასულ მიშინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მიხეილ ცხისთავი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს შალვა დიმიტრის-ძე ნუცუბიძეს მისი ძმის **ნიკოლოზის** გარდაცვალების გამო.

ბარბალე, ვიქტორ, ვლადიმერ, ნიკანდრო, ოლია, მარგარიტა, გალინა მელაძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის **ალექსანდრე ვლადიმერის-ძე კერძევაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-VIII, 6½ ს. დურგლის შეს. 10.

თბილისის საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს დირექცია, პარტბიურო და მუშათა კომიტეტი იუწყებიან **ალექსანდრე კერძევაძის** გარდაცვალებას.

ნუნუ, დათიკო, ნათელა, თენგიზ სეფიაშვილები, ვერა, თამარ, ნიკოლოზ, ვლადიმერ, ინდისი ქარსელაძეები იუწყებიან **იაშა გოლოძის** გარდაცვალებას.

დედა ანეტა, დები ქეთო, ზინა, ზაბულია ოჯახებით იუწყებიან **გერონტი ვიქტორის-ძე ტყემალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VIII სოფ. ბაჯითში (საჩხერის რ.).

„საქკონსერვტრესტის" თანამშრომლები იუწყებიან **ვერა ამბაკოს ასულ მაჭარაძე-მიქაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 7 ს. გამოსვენება 1-VIII, 6 ს. შაუმიანის, 88.

სოფიო, ანეტა, არსენ და მარო დევნოსაძეები თანაგრძნობას უცხადებენ კონსტანტინე ნუცუბიძეს მისი მამის **ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ნუცუბიძის** გარდაცვალების გამო.

მამა შუტუ, ძმა ბიჭიკო საბაშვილები, მეუღლე ვალიკო, შვილი მარიკა კონტრიძეები, ოლინკა დუმბაძე იუწყებიან **ცუცას** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 3-VIII, 6 ს. ფხოვის, 3.

ქ. კალატაძე, ვ. ანთაძე, ნ. აბაშიძე, ქ. ოდიკაძე, ქ. ჩიქოვანი, ი. გიორგაძე, ვ. ლოლაძე, ე. ზარაფიდი, თ. შარაშიძე, ნ. ათანელიშვილი, მ. საყვარელიძე, ტ. კურისი, ს. ოგანესიანი, ნ. სირბილაძე იუწყებიან ა. ბოკუჩავას დის **ნინო ბოკუჩავა-ჩაჩავას** გარდაცვალებას.

შალვა და ევგენია ნუცუბიძეები შვილით ჯულიეტათი იუწყებიან ძმის **ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ნუცუბიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-VIII ქ. ქუთაისში, სადგურის, 21.

პ. ზეცხრიკიძე, ფ. ხუციშვილი, ნ. ყველაშვილი და ვ. კობერიძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ნუცუბიძეს მისი ძმის **ნიკოლოზის** გარდაცვალების გამო.

ა. ჯეირანაშვილი, გ. საგინაშვილი, ა. ცინცაძე, დ. ბატიაშვილი, ი. კრიჭაშვილი, ვ. ცომაია, ფ. ლობჯანიძე, გ. წიქარიშვილი, პ. სულაქველიძე, ა. ბუაძე და დ. ხუციშვილი თანაგრძნობას უცხადებენ კ. ნუცუბიძეს მისი მამის **ნიკოლოზის** გარდაცვალების გამო.

ი. სულხანიშვილი, გ. ჯალიაშვილი, თ. ჯანიაშვილი, ნ. შაიშმელაშვილი, ი. ცებრი, ნ. ლობჟანიძე, ა. გივიშვილი, ა. შალვაშვილი, ვ. ამაშუკელი, მ. ბეჟაშვილი, ვ. სიხარულიძე, მ. კუპაიძე, მ. წულუკიძე იუწყებიან **ნიკოლოზ ნუცუბიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ხარიტონ, შვილი დავით მეუღლით ელენეთი ყენიები იუწყებიან **მატრონე ბართლომეს ასულ ყენიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 7 ს. გამოსვენება 1-VIII, 5 ს. გორკის, 21.

გაბო, ილარიონ და სონია თურმანიძეები შვილებით და შვილიშვილებით, და ნინო ბასილაია იუწყებიან **პეტრე გიორგის-ძე თურმანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-VII, 8 ს. გამოსვენება 1-VIII, 3 ს. ჭავჭავაძის, 15.

მერი და ეთერ ვარდოსანიძეები, მარო აფაქიძე, კლარა კალანდაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნინო თურმანიძეს მისი მამის **პეტრე თურმანიძის** გარდაცვალების გამო.

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ნინო ყარამანის ასულ ბოკუჩავა-ჩაჩავას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 11690